ᲐᲘ ᲘᲐ. Nr.3

ფასი: 50 თეთრი

www.ai-ia.info

2011 წლის 10-23 მაისი

დავით ვაჩნაძე
კავკასიის პრობლემა
გვერდები 2-3

როჟე-პოლ დრუა
ყველასათვის ახსნილი დასავლეთი
გვერდები 6-7

მალხაზ ნურომვილი
ფარული ქრისტიანობა საინგილოში
გვერდი 8

ესაც ევროპაა
- სორენ კიერკეგორი და არსებობა
- ტოტალიტარიზმის გააზრება თეოდორ ადორნოდან ჰანა არენდთამდე
- ლიბერალიზმის გააზრება რაიმონ არონიდან ჯონ რაულსამდე

გვერდები 4-5



გრიგოლ რობაქიძე
დავით აღმაშენებელი
გვერდი 7

ფერნან ბროდელი
აღმოსავლეთიდანაა სინათლე!
გვერდი 3

სხვათა შორის

ჩვენი ცხოვრება სწორედ რომ სხვათა შორისოა: რასაც ვფიქრობთ და ვაკეთებთ, გამოდის, რომ სხვათა შორის გვიფიქრია და გვიკეთებისა. საწყენი ის არი, რომ უმთავრესს, უსაჭიროეს საქმესაც სხვათა შორის ვაკეთებთ. ვმწერლობთ, ვპედაგოგობთ თუ ვქველმოქმედებთ, გამოდის სულ სხვათა შორისებურად.

ვერაფერი დროება გახლავთ: ადამიანს მამის სული გაუშვია და პაპისას ფიცულობს. ალბათ წინად, ძველ დროშიც, მომხდარა ამისთანა მაგალითები, თორემ ამისთანა ანდაზა არ დაიბადებოდა. დიაღ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, მაგრამ ქვეყანა არ წარღვნილა, არც დაიღუპა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ.

მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილან და ვირებს დაჰრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრან ქვეყანა ისევ ქვეყანად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლეინებიათ მოედანი. მომხდარა ისიც, რომ ბედაური აზრები დახოცილა ისე, როგორც გაზაფხულზე ყვავილები და ბალახი იხოცება და ვირულ აზრებს უფარფაშიათ. მაგრამ დამდგარა გაზაფხული და ბედაური აზრები ამდგარან მკვდრეთით.

მომხდარა ისიც, რომ ძაღლს პატრონი ვეღარ უცვნია და პატრონს - ძაღლი, მაგრამ ბოლოს უცნიათ ერთმანეთი მაინც და მაინც.

მომხდარა ისიც, მაჩაბლის ცუღლუტობის გამო ურია დაუსჯიათ. მაგრამ, ჰხედავთ, დღეს ვიცით ცხადად, ნათლად დასასჯელი ვინ იყო და ვინ დასაჯეს. სიმართლე გამოაშკარავდა, არ დაიმალა: ვიცით დღეს ცხადად, აშკარად, რომ ტყუილუბრალოდ დაისაჯა საწყალი ურია და გვებრალება, ხოლო მაჩაბელზე ბრაზი მოგვდის.

ერი, უმრავლესობა რასაც დაადასტურებს, უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ღვთისა - ხმა ერისაო...

სხვათა შორის ჩვენს ცხოვრებაში ასეთი მაგალითებიც მომხდარა, რომ სულელს (იქნება ძალიან გულკეთილი იყო) მამას და დედას დამშეული შვილებისთვის აურთმევია ტაბლა და სხვისთვის გადაუცია: თქვენ მიირთვითო!... ამაზე მეტი კაცთმოყვარეობა იქნებაღა? რადა სწყინს ერს, ხალხს და რად იძახის დაჟინებით: შინ რომ ბალღებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?! ალბათ ამისთანა კაცთმოყვარეობა არ მიაჩნია ნამდვილ კაცთმოყვარეობად და იმიტომ სთვლის არა ბუნებრივ, არა ნორმალურ მოვლენად, ეს თქვენ და თვით ერმა გასაჯეთ, მე არ შევდივარ ამის განსჯაში; მე მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაც მომხდარა და რაც დღესა ხდება.

რად გიკვირსთ. მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს, დაჰლევს ჩაილულის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუსახდილ ბებრის სალის კარებს გვიან გაეგდება ურდული...

მაშ რევოლუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენთვის? არა. იმან ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა: გამოამჟღავნა ჩვენი გონებრივი სიღატაკე, მოუმზადებლობა, ხალხის სიბნელე და დაჰბადა მისწრაფება კულტურულ მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახა ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი ძალღონე. დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მიისწრაფის ერში, ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს, ამისთვის არა ჰზოგავს დაეხმაროს ჯან-ღონით თუ ნივთიერად. ძალა მუდამ უმრავლესობაშია, მუდამ ეს ძალა, თუ შეუგნებელია, ბრმა, უფრო მავნებელია საქმისთვის, ვიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცეს.

განუვითარებელი, გაუზდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული თვალახილებული ხალხია... ასეა სწორედ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ხალხის გათვითცნობიერობას მხოლოდ დღესღა შეუდეგით... დიქტატორებს და დემაგოგებს სწყინთ და უნდა კიდევაც ეწყონოთ, რადგან იმათ ბრმად აღარავინ დაემორჩილება და იმათ მეუფებას აღარავინ აღიარებს, მაგრამ იმათ წყენასაც უნდა გავუძლოთ იმ დრომდე, ვიდრე თავის გუდანაბადით ჩვენს ბანაკში არ გადმოსახლდებიან.

ვითომ? ჰკითხულობთ თქვენ. მე ასე მგონია. როგორც სხვათა შორის ავტორს და რა ვიცი. მგონია და საბუთიცა მაქვს ასე მეგონოს, რადგანაც მეტისმეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაჰრჩეს და მეოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინ იქით იყოს გინდა აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არი.

ვაჟა-ფშაველა, 1910 წელი

ფოტოზე: დავით ვაჩნაძე

1921** წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოდან გაძევებული ქართველი მამულიშვილები ევროპაშიც განაგრძობდნენ მოღვაწეობას. აარსებენ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ხალხების მოღვაწეთა ერთიან მოძრაობას - „პრომეთე“, რომლის მიზანი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ბოლშევიკების მიერ დათრგუნული ეროვნული ცხოვრების აღდგენა გახლდათ. სხვებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ქართველებიც, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ევროპაში ქართული ჟურნალ-გაზეთებიც გამოდიოდა. ქართველები ემიგრაციაშიც ცდილობდნენ ქართული ეროვნული მეობის შენარჩუნებას. ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო დავით ვაჩნაძეც. პარიზში «კავკასიურ კვლევათა წრე» (Cercle des Etudes Caucasiennes) არსებობდა, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე, 1933 წლის 17 იანვარს, ამ წრის გამგეობის თხოვნით დავით ვაჩნაძემ მოხსენება - «ერთაშორისი ერთიანობის ტრადიცია კავკასიის ისტორიაში» (რუსულ ენაზე) წაიკითხა. ეს მოხსენება იმავე წელს, პარიზში, ბროშურის სახით სახელწოდებით «კავკასიის პრობლემა» რუსულად გამოსცა დიმიტრი ხელაძემ. ნაშრომი წარმოადგენს ქართული ისტორიულ-პოლიტიკური აზრის ძვირფას ძეგლს და ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის მნიშვნელოვან საბუთს. საქართველოში მისი კითხვა აკრძალული იყო.

კავკასიის პრობლემა

ᲑᲐᲑᲘᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲯᲣᲑᲘᲢᲯᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲧᲘᲡᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ: “ᲐᲘ ᲘᲐ.„ , **Nr.1** ᲓᲐ **2**

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

კავკასიის პრობლემა – 4

არანაკლებ მეტყველია კავკასიელი ერების ტერიტორიული მდგრადობა, რაც განსაკუთრებით დიდი როლს მტკიცე სამოკავშირეო ურთიეროლბების დამყარებაში ასრულებს. ჩვენს დროში, რესპუბლიკებად გაფორმებული კავკასიური ქვეყნების უმეტესობა, 2500 წლის მანძილზე გვერდიგვერდ არსებობს, თავისი ტერიტორიული საზღვრები მათ თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს. თუკი მათი სამფლობელოების განაპირა მხარეებზე საერთაშორისო გადაჯგუფებები ხდებოდა, ეს ნორმალური, ბუნებრივ გადაადგილებათა შედეგი იყო. კავკასიის ხალხთა ისტორიას არც ერთი დოკუმენტი ძლიერი საქართველოს მიერ მეზობელი, ქართველ მეფეთა პროტექტორატის ქვეშ მყოფი კავკასიური ქვეყნების ტერიტორიის კოლონიზაციის შესახებ არ დაუტოვებია... აზერბაიჯანის სახანოებიც არანაკლებ ლოიალურნი იყვნენ ქართული მიწების მიმართ, სპარსეთის ბატონობისა და გავლენის ხანებში, მათ არ უსარგებლიათ ქართველი ხალხის ცუდი მდგმოარეობით (ახალ მაჰმადიანურ დასახლებებს საქართველოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე სპარსელი დამპყრობლები ტოვებდნენ), მითუმეტეს, არანაირი ტერიტორილი ანგარიშები არ ჰქონიათ, ქართველებსა და მთიელებს შორის. მთებიდან ცენტრალურ საქართველოში (ქართლში) მომავალი და ქართველი მიწათმფლობელების მიწებით მოსარგებლე ოსების მიმართ ქართველები ღია კარის პოლიტიკას ატარებდნენ. ეს კარი არ დახურულა, არც სომხებისათვის. უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ტრადიციებით და მრავალი ისტორიული ძაფებით ერთმანეთთან დაკავშირებულ სომხებსა და ქართველებს არ ჰქონდათ ერთმანეთისადმი ნდობის ტრადიციის უარყოფის საფუძველი. სწორედ ამ ძველი ტრადიციით იხსნება ის, რომ ქართველი ერის მიწებზე ბაგრატიონების სამეფოს დროს და გასულ საუკუნეში, თურქეთიდან მოსული სომხებიც კი თავისუფლად სახლდებოდნენ. სომხები, რომლებმაც მე-11 საუკუნიდან თავისი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრები დაკარგეს, მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოდან ცდილობენ კავკასიის ზონაში მომავალი სომხური რესპუბლიკის საზღვრების სხვადასხვა ვარიანტის მოხაზვას. სომხეთის საუკუნეებს უკან წაშლილი ეროვნული საზღვრები დაავიწყდათ როგორც სომხებს, ისე მათ მეზობლებს. სწორედ ეს იყო მათი ბოლოდროინდელი სასაზღვრო უთანხმოებების მიზეზი, რაც მალე გადაწყდა კავკასიის გამაერთიანებელი მუშაობის პირობებში.

უეჭველია, ყოველი კავკასიელი ერის შინაგანი ერთიანობაც. ამ თვალსაზრისით კომენტარები არ სჭირდება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ერთიანობას. ძველი საქართველოს შინაგანი პოლიტიკური ტიხრები და აზერბაიჯანის ძველი სახანოების საზღვრები ამ ქვეყნების თანამედროვე ერ-ოვნულ-რესპუბლიკურმა წყობამ წაშალა. სომხეთის რესპუბლიკის ერთიანობა ცხადია. ჩვენს განმარტებას მოითხოვს მხოლოდ ამ საკითხის მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაში, რომელსაც რატომღაც „კავკასიური ერთშორისი არეულობის“ მაგალითად წარმოადგენენ. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ მთიელთა ქვეყნის შესახებ ამ ობივატელურ წარმოდგენებს. კავკასიის ამ ნაწილის თვალშისაცემი ეთნიკური სიჭრელე მის მკვიდრებს სულაც არ უშლიდა ხელს თავისუფლებისათვის მარადიულ ბრძოლაში ყოველთვის ერთგული მოკავშირენი ყოფილიყვნენ. თავისუფლებისა და მიწების შეუპოვარმა დაცვამ, მათში მტკიცე სამოკავშირეო ტრადიციების კულტურა შექმნა, რასაც რელიგიის, ადათების ერთობა და ნათესავური კავშირები აძლიერებდა. სწორედ მათი წყალობით გაძლო ამდენი ხანი შამილმა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძლიერი რუსული იმპერიის შემოტევისაგან მთების თავისუფლებას იცავდა. მართალია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ერთ კავშირად შეკვრა მან ვერ შესძლო; მისი ჩრდილოელი მტერი, რომელმაც მთებში პროფ. კოვალევსკის გამოთქმით „არა მხოლოდ ზარბაზნები... არამედ ოქროს ვირიც“ შეუშვა, რითაც სახელგანთქმული იმამის გამაერთიანებელი გეგმა ჩაშალა, მეტისმეტად ძლიერი იყო. 60 წლის შემდეგ, ამ გეგმის განხორციელება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საყოველთაო ყრილობამ ფედერაციული რესპუბლიკის სახით გადაწყვიტა. 1917 წელს, მთიელები თავისი ახალი პოლიტიკური ისტორიის დაწყებას ერთხმად მიესალმნენ. მაგრამ ჩრდილოური სტიქიის ახალმა თარეშმა ისევ წალეკა მთიელი პატრიოტების მშენებარე მთიელთა საერთო ეროვნული შენობა.

ურწმუნოებს მთილთა ისტორიის ობიექტურ შესწავლას ვურჩევთ. ისინი დარწმუნდებიან, რომ კავკასიელი ხალხების ცხოვრების ისტორიული პირობები პარადოქსულ ფორმულებს ქმნიდნენ, რომლებიც მრავლობით რიცხვებს ხშირად მხოლობით რიცხვებად აქცევდნენ. ამ ცოცხალი კავკასიური ფორმულის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს მრავალი ტომით დასახლებული, ეროვნულ მისწრაფებაში ერთიანი, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაერთიანებული და თავისუფლების მოყვარული კავკასიის ქედუხრელი და უერთგულესი მცველი, ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენს.

კავკასიის ეკონომიკური საფუძვლის ძლიერება, ყველასათვის ცნობილია.

ბაქოს და გროზნოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ქვანახშირის, სპილენძის, ტყვიის უზამრმაზარი საბადოები, თეთრი ნახშირის ულევი წყაროები და ა.შ., კავკასიას ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად აქცევს. უძვირფასესი ტყეები, საძოვრები, არაჩვეულებრივად ხელსაყრელი ნიადაგი და კლიმატური პირობები კავკასიას მოპოვებული და გადამამუშავებელი მრეწველობის, მრავალი დარგის განვითარებისათვის მყარ საფუძველს აძლევს. კავკასიის სხვადსხვა მხარეში ამ სიმდიდრეთა განაწილება და ბაქოს, ტფილისის, ბათუმის რკინიგზების და ნავთობსადენის შემაკავშირებელი როლი, კავკასიას განუყოფელ ეკონომიკურ მთლიანობად აქცევს და მისი ადმინისტრაციულ–პოლიტიკური ერთიანობის აუცილებლობას ადასტურებს. ძველი რუსული ხელისუფლება ამ გარემოებას ანგარიშს უწევდა, სწორედ ამიტომგამოყომანკავკასიურიმმართველობა ცალკე კავკასიური სამეფისნაცვლოდ.

კავკასიის პრობლემა – 5

ახლა, კონფედერალისტების აზრით, ორიენტაციის სფეროში უთანხმოების მიზეზი არ არსებობს.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მცირე აზიის თურქეთში შეჭრილმა რუსეთის არმიამ იქაური სომხები თურქეთის წინააღმდეგ ააჯანყა. 1917 წელს იგივე არმია მოულოდნელად რევოლუციურ არმიად გადაიქცა, მან ფრონტი უეცრად მიატოვა და სომხები შურისძიების სურვილით შეპყრობილ თურქებს შეატოვა. ამის შედეგად თურქეთისა და სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ხოლო გადარჩენილი სომხები სამშობლოდან გაამევეს. თურქული საფრთხე უშუალოდ თვითონ კავკასიის სომხეთს დაემუქრა. თურქული დივიზიები, რომლებმაც უკანასკნელი რუსული არმიის კვალდაკვალ აზერბაიჯანის პროვინციები დაიპყრეს, 1920 წელს ქემალის რევოლუციური მთავრობის ბრძანებით თურქეთში ბრუნდებიან და სისხლით ნათესავ აზერბაიჯანელებს თავის ახალ მოკავშირეს, დაუნდობელ ბოლშევიკურ მოსკოვს უტოვებენ. აზერბაიჯანელ ხალხს კარგად ახსოვს 1920 წლის განჯის სისხლიანი ეპოპეა, როდესაც მოსკოველმა ბოლშევიკებმა განჯის კედლებთან ფაქტიურად მიმავალი თურქული ნაწილების თვალწინ 2000 აზერბაიჯანელი გაჟლიტეს.

ტფილისის კარიბჭესთან, წითელი მოსკოვის ჯარებთან მარტოდ დარჩენილი ქართველებს ბრძოლის დროს, ევროპული დახმარების ილუზიები გაეფანტა საქართველოსაც. ევროპული დახმარება გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ ბათუმიდან წასასვლელად გამზადებულმა ევროპულმა გემებმა ჩაძირული საქართველოს ხელმძღვანელები მიიღეს.

თარგმოსი და მისი რვა შვილი: მოვაკანოსი, ბარდოსი, ქართლოსი, ჰაოსი, თარგამოსი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი, ეგროსი

ლეონტი მროველი ქართლის ცხოვრებაში წერს: „...პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჴერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა - ამათთჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძის-წული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაც-შეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხჳ, რამეთუ ესხნეს ცოლ-მრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილის-შვილნი ძეთადა ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსსას წელ. და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა. ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.“

მოვაკანოსი - ალბანური ტომის მოვეკანთა წინაპარი, ქალაქ მოვაკანეთის დამაარსებელი, ***ბარდოსი*** - კავკასიის ალბანეთის უძველესი ქალაქის ბარდის დამაარსებელი, ***ქართლოსი*** - ქართველთა ეპონიმი ქართლის - დამაარსებელი, ***ჰაოსი*** (სომხურად - ჰაიკ) - სომეხთა წინაპარი, მითიური სომხეთის პირველი მეფე, ***ლეკოსი*** - ლეკების წინაპარი, ***ჰეროსი*** - ჰერების (ალბანური ხალხის ტომი) წინაპარი, სავარაუდოდ ისტორიული ჰერეთის დამაარსებელი, ***კავკასოსი*** - ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წინაპარი, ***ეგროსი*** - ეგრების ანუ დასავლეთ ქალთველების წინაპარი, ეგრისის (ლაზიკა) ლეგენდარული დამაარსებელი.

ფოტოზე: თარგიმი, ერთადერთი ადგილი კავკასიაში (ინგუშეთი), რომელმაც დღემდე შემოინახა პალეოკავკასიელთა, უძველეს კავკასიელთა, იბერიელ კავკასიელთა საერთო წინაპრის - თარგამოსის სახელი.

კონფედერალისტები ანგარიშს უწევენ გარედან დახმარების ილუზორული იმედების გამფანტველ ამ ბოლოდროინდელი ისტორიული მოვლენების გამომაფხიზლებელ მნიშვნელობასა და უცხოელ დამპყრობელთა მიმართ სიძულვილის გამომწვევი უსასტიკესი ბოლშევიკური რეჟიმის 12 წლიანი მმართველობის შედეგებს. მათ მიაჩნიათ, რომ ამ რეაქციამ ბოლოდროინდელი კავკასიისგარეთა მისწრაფებები მოსპო და მყარი ნიადაგი შეუქმნა კავკასიელ ხალხთა გაერთიანების, ყველასათვის საერთო სამშობლოს - თავისუფალი კავკასიის აღდგენასა და განმტკიცებას. მათი აზრით, მომავალში, კავკასიის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი საზღვრების დაცვამ ყველა მოკავშირე კავკასიელ ერს უსაფრთხოების თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას. გაერთიანებული კონფედერატული არმია კავკასიის მისადგომების დაცვას ყველა მიმართულებით შესძლებს. ამის დასტურია ისტორიული მაგალითები - საქართველო მოკავშირე შირვანელი და ყარაბაღელი ხანების ჯარებთან ერთად მდინარე არაქსთან და ყარაბაღის მთების ძირში კავკასიის საზღვრებს იცავდა. საქართველოს მეზობელი სომხეთისათვის ბევრჯერ გაუწევია დახმარება და მასთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ამ ნაწილში, გარეშე მტრის შემოსევები მოუგერიებია. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ კავკასიის ყველა შეიარაღებული ძალა გაერთიანდება და რომ ამიერკავკასიელ მებრძოლთა რიგებს, ჩვენს ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ორგანიზებული არმია გააძლიერებს, უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის სამხრეთ საზღვრები უცხოელთა შემოსევებისაგან დაცული იქნება.

ჩრდილოურ სტიქიას მთელი კონფედერატული არმია გადაუკეტავს გზას. დამატებით, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კონფედერატული კავკასია მისი დიპლომატიის ძალისხმევის შედეგად მომავალი უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციის (უნდა ვიფიქროთ - სიცოცხლისუნარიანი ერთა ლიგის) წევრი გახდება და ამიტომ არ დარჩება მარტო, ასეთ კავკასიას არ გაუჭირდება მოკავშირე კავკასიელი ხალხების თავისუფლების დაცვა როგორც ფიზიკურად, ისე პოლიტიკურად.

დასკვნის სახით, კავკასიურ პრობლემაზე გადმოცემული თვალსაზრისის სისრულისათვის საბჭოთა კავშირში ძვრების შესაძლებელი პერსპექტივა უნდა წარმოვიდგინოთ. კავკასიური კონფედერატული იდეები ამ ასპექტში რეალურ აზრს იძენს. ბოლშევიზმის გრანდიოზულმა სოციალურმა ექსპერიმენტებმა მორალურად, მატერიალურად და ფიზიკურად დააუძლურეს რუსი ხალხი და «ერთიანი რუსული დერჟავულობის» ძველ-იმპერიულ საზღვრებში აღდგენის ადეპტთა რესტავრაციული პროექტები დიდი ხნით დაამარცხეს. ბოლშევიკურმა დიქტატურამ გააძლიერა, გააღრმავა და განამტკიცა არარუსი ხალხების ცენტრიდანული ეროვნული მისწრაფებები. ამ დიქტატურის ეკონომიკური და პოლიტიკური კრახის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლა მის შემადგენელ ერთეულებად გარდაუვალია. შიგნით, საბჭოთა კავშირში, ახლა, ამ პროცესს სრული ეკონომიკური დეპრესია, აგრალური ქაოსი (მილიონობით გლეხი აყარეს და მაწანწალა ურდოებად გადააქციეს) და ყველგან ჩამოვარდნილი შიმშილი აჩქარებს. იგივე პროცესს გარედან იაპონიის ენერგიული ექსპანსია აჩქარებს, რომელიც მოსკოვის ხელისუფლებას მრავალმილიონიანი ნახევრადდამშეული მონღოლური მოსახლეობის მყოლი ციმბირული და შუაზიური ქვეყნების სრული მოწყვეტით თუ არა, მისი მოსკოვის წინააღმდეგ მიმართვით ემუქრება.

საბჭოთა ხელისუფლების საყრდენის, წითელი არმიის ძლიერება ეფემერულია. ცნობილია, რომ ყველანაირი არმიის საყრდენი ძლიერი და მტკიცე გლეხობა და სოფელია. მთელ საბჭოთა კავშირში ბოლშევიზმმა ააოხრა სოფელი და გლეხობა წააქცია. ბოლშევიკთა ევროპულად აგებული «ბრწყინვალე» არმია უხერხემლოა. უცხოური ვალუტითა და უცხოელი ინსტრუქტორებით, ხალხის შიმშილითა და საშინელი გაჭირვებით გამაგრებული არმია საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მეორე დღესვე დაიშლება. მას არ ექნება არც ფული, არც პური და არც ხალხის მხარდაჭერა.

სხვა რედაქციით, კავკასიისათვის შეიძლება 1917 წელი განმეორდეს. ბოლშევიკური რეჟიმის მიერ გატყავებული და დაუძლურებული კავკასიელი ხალხები აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის დამშეულ ადამიანთა სტიქიის პირისპირ დარჩებიან. ესაა ხვალინდელი დღისათვის ბოლშევიზმის თითქმის გარდაუვალი მემკვიდრეობა, რის მისაღებად კავკასიელი ხალხები დღესვე უნდა მოემზადონ. მათ თავის მომავალზე უნდა იზრუნონ, რათა მათი აღგვა პირისაგან მიწისა ვერავინ ვერ მოახერხოს.

ამ მოვლენათა პერსპექტივები სვამენ კითხვას, რა უნდა ვაკეთოთ. პასუხიც ერთადერთია: კავკასიელი ხალხების ეროვნული მონაპოვარი კონფედერაციის საფუძველზე უნდა გაერთიანდეს. კავკასიელი ხალხები ხსნის ძველ, გამოცდილ და სანდო გზას უნდა დაადგნენ. ეს გზა, კავკასიელი ერების საკუთარი ეროვნული არსებობისა და კეთილდღეობის ორგანიზაციისათვის საბრძოლველად სრული გაერთიანებაა. ერთი აზრი უნდა არსებობდეს – გაერთიანებულ ძალისხმევაზე დაყრდნობა. კავკასიის ფოლადის ქედზე დაყრდნობილი ამ ძალების უნდა ვიწამოთ!

/პუბლიკაციის დასასრული/

ფერნან ბროდელი

აღმოსავლეთიდანაა სინათლე!

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

ანტროპოლოგიის სკოლის ეთნოლოგიის პროფესორი ჟორჟ მონტანდონი; ჰამბურგის მუზეუმის კონსერვატორის, არტურ ბიჰანის წიგნის «კავკასიური ცივილიზაცია», პარიზი, პაიო, 1936, წინასიტყვაობიდან: «ისინი, ვისაც კავკასიის მკვიდრთა შორის კავკასიელები, საკუთრივ კავკასიელები ან უფრო ზუსტად პალეოკავკასიელები უნდა ვუწოდოთ, რომელთა ანსამბლი ლეკთა, ჩერქეზთა, ქართველთა და ვაინახთა ირგვლივ კონკრეტიზდება, ეთნოლოგიაში ღრმა პატივისცემას იწვევენ. ისინი ბასკებთან და შეიძლება გამქრალ ეტრუსკებთან ერთად ძველი და დიდი ეთნიკური ოჯახის ნაშთს წარმოადგენენ, რომელიც ევროპაში ცხოვრობდა და ინდოევროპელებთან (ინდო-რანელები, სომხები, ალბანელები, ბერძენ-ლათინები, კელტები, გერმანელები, სლავები, ბალტები) ერთად დამკვიდრდა. არაა გასაკვირი, რომ კავკასიელებში იმ ელემენტთა ნაშთებს ეძებენ, რომელთაც დასაშვები ანალოგიით ინდოევროპელთა აყვავებამდე ევროპული ცივილიზაცია უნდა შეედგინა...».

აღმოსავლეთიდანაა სინათლე! - Ex Oriente Lux! - ამბობდნენ ძველი და ბრძენი რომაელები. დავუკვირდეთ ზოგიერთი ევროპელი ისტორიკოსის რამდენიმე მოსაზრებას, ეს შეიძლება კარგი აღმოჩნდეს ვნებათაღელვით შეპყრობილი ჩვენი თანამედროვეობისათვის.

«ხმელთაშუა ზღვა საკუთარ თავს ყოველი მხრიდან შემოფარგლულ და შეზღუდულ ზღვად განსაზღვრავს. განა ხმელთაშუა ზღვა უპირველეს ყოვლისა მთებს შორის მოქცეული ზღვა არაა? აუცილებელია ამის ხაზგასმით აღნიშვნა ისტორიულ პლანში, ვინაიდან ამ ფაქტსა და მის მრავალრიცხოვან შედეგს ჩვეულებრივ ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე. მთა ყველგანაა ზღვის ირგვლივ; ზოგიერთი უმნიშვნელო წყვეტილის გამოკლებით (მაგალითად გიბრალტარის სრუტე, ნორუზის ზღურბლი, ეგეოსიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სრუტეები, ერთადერთი მნიშვნელოვანი ლაგუნაა საჰარის სიბრტყე). დავუმატოთ რომ ესაა მაღალი, ვრცელი, დაუსრულებელი მთები: ალპები, პირენეები, აპენინები, დინარიკული ალპები, კავკასია, ანატოლიის მთები, ლიბანის მთები, ატლასი, ესპანური კორდილიერები, ძალიან მძლავრი, მომთხოვნი პერსონები, ერთნი სიმაღლის, მეორენი კი მათი კომპაქტური ფორმებისა თუ ძნელად მისადგომი, ღრმა, ჩაჭედილი ხეობების გამო.

მთიელთა ცხოვრება ხმელთაშუაზღვისპირეთის პირველი ისტორიაა?

ზღვის მთელი ისტორია საფუძველშივე მთის ნაწარმოები შეიძლება იყოს. მთიელთა ცხოვრება შეიძლება იყოს პირველი ცხოვრება ხმელთაშუაზღვისპირეთისა, რომლის ცივილიზაციაც, მახლობელი აღმოსავლეთისა და შუა აზიის ცივილიზაციათა მსგავსად, ძლივს მალავს თავის მწყემსურ საფუძვლებს, დამიანთა მიერ ძალიან ადრე ათვისებულ მაღალმთიანეთთან დაკავშირებული ცხოვრების ნაკვალევს. დაბლობები თავდაპირველად დამდგარი წყლების, ჭაობების და მალარიის არე იყო. ათვისებული დაბლობი, საუკუნეთა მანძილზე კეთილდღეობის თანამედროვე სახე იყო, თაობათა მძიმე და დაძაბული შრომის ნაყოფი. ანტიკურ რომში, ვარონის ხანაში, ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ მოგონება იმ დროის შესახებ, როდესაც ველაბრეზე ჯერ კიდევ ნავით დადიოდნენ. ადამიანებმა ციებ-ცხელებიანი ადგილების დაკავებას დიდი დრო მოანდომეს. საამისო საბუთების ნაკლებობას არ განვიცდით. ქვემო რონის ისტორიული დასახლებების რუქა: ყველა ცნობილი საბადო კირქვის მაღალ მთებზე მდებარეობს, რომლებიც აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით დელტაზე ბატონობენ. მხოლოდ ათასობით წლის შემდეგ, XV საუკუნის დასაწყისში იწყება რონის ჭაობთა დაშრობა. იგივე სურათია პორტუგალიაში, პრეისტორიული ცხოვრების კვალი არ სჩანს დაბლობებსა და ხეობებში. მთა კი პირიქით, ბრინჯაოს ხანიდანაა დასახლებული. IX-X საუკუნეებში, ადამიანები ჯერ კიდევ მთების მწვერვალებზე ცხოვრობდნენ. პორტუგალიურ მაგალითს ჩვენ ხმელთაშუაზღვისპირეთის გარეთ მივყავართ. მაგრამ აი, ხმელთაშუაზღვისპირეთის გული - ტოსკანა: მაღალ ბორცვებს შორის მოქცეული ვიწრო ხეობების ქვეყანა. პირველი და უძველესი ქალაქები, სწორედ ამ ბორცვების მწვერვალზე, მათ უკანასკნელ სართულზეა. სწორედ აქაა ეტრუსკული ქალაქები: პიზა, ლუკა, ფლორენცია. დაბლობთა ქალაქები კი პირიქით, უფრო მოგვიანო ხანაში, რომაულ ეპოქაში ჩნდება. ფლორენციის ირგვლივ, დიდი ხნის განმავლობაში იარსებებს ადამიანებისათვის საშიში ჭაობი. ტოსკანის დაბლობი, XVI საუკუნეშიც კი არ არის მთლიანად გათავისუფლებული წყლისაგან. პირიქით, წყლის დონე მატულობს.

შავი ზღვა - კონსტანტინეპოლის ნაკრძალი

შორეული ზღვაოსნობის დასასრულს (ზოგი გამონაკლისის გარდა), შავი ზღვა მოქცეულია განუვითარებელი ერთდროულად ბარბაროსული და გაბარბაროსებული ქვეყნების მასაში. ძლიერი მთები მას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ზღუდავენ. ამ მთებს შორის მიიკლაკნება შუამდინარეთიდან, სპარსეთიდან და სომხეთიდან ტრაპიზონისკენ მიმავალი გზები. შავი ზღვა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზონა იყო. აქ არის ის, რასაც იგი თითქმის თავის სანაპიროებზევე ამზადებს: გამხმარი თევზი, «რუსული» მდინარეების ხიზილალა, თურქული ფლოტისთვის საჭირო ხე, სამეგრელოს მიერ მიწოდებული რკინა, მარცვლეული და მატყლი... («სამეგრელო, შენიშნავს 1664 წელს ტავერნიე, ყოველთვის კარგ დამოკიდებულებაშია თურქეთთან, ვინაიდან თურქეთში მოხმარებული ფოლადისა და რკინის უდიდესი ნაწილი, სამეგრელოდან შავი ზღვით ჩადის.). ამას გარდა, აქაა ის, რასაც შავი ზღვა გადასცემს- ის, რასაც იგი შუა აზიიდან და სპარსეთიდან იღებს, რაც ქარავნებით მოდის, რაც კონსტანტინოპოლისათვის და დასავლეთისათვისაა განკუთვნილი. აღმოსავლეთიდან ამ ორმაგი ვაჭრობის შესახებ, ჩვენ სამწუხაროდ ძალიან ცოტა რამ ვიცით; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ XVI საუკუნეში შავი ზღვის მთელი ვაჭრობა კონსტანტინოპოლის ხელშია და რომ სწორედ ის ქმნის სურათს ხმელთაშუაზღვისპირეთის ამ განაპირა მხარესა და ზღვის დანარჩენ ნაწილს შორის.

ადვილად მისაწვდომი შავი ზღვა, უზარმაზარი დედაქალაქისათვის მკვებავი ზონაა, რომლის გარეშეც იგი უბრალოდ ვერ იარსებებდა. კონსტანტინოპოლი უბრალოდ ვერ დაკმაყოფილდებოდა ბალკანეთიდან მისული ხარკით (განსაკუთრებით გაგზავნილი ცხვრით), ვერც პურით, ბრინჯით თუ ცერცვეულით, რაც სანელებლებსა და ნარკოტიკებთან ერთად ალექსანდრიიდან ჩაჰ-

ლეგენდარული გმირი გილგამეში, რელიეფი ასირიის დედაქალაქ ხორსაბადიდან, ლუვრი, პარიზი

ქონდათ. სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში ტიკებით ჩაჰქონდათ კარაქი... შავი ზღვა, XVI საუკუნეში კონსტანტინოპოლზე მიბმულია ისევე, როგორც იგი ოდესღაც მილეთზე, ათენის მამულზე იყო მიბმული. ერთ დროს, მასზე გაბატონდნენ ყირიმის სამხრეთით ტანაში და კაფაში გამაგრებული გენუელები, რომლებიც თურქებმა მხოლოდ XV საუკუნის ბოლოსღა გააძევეს. ამას მოჰყვა ზღვისკენ მიმავალი გზების ცვლილება: ისინი უკვე არა ყირიმისაკენ, არამედ კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებიან. ამიერიდან შავი ზღვა უზარმაზარი თურქული დეაქალაქის აღიარებული ბეღელია, გენუელები იქ 1590-იან წლებამდე ჩანან.
კონსტანტინოპოლმა შავ ზღვას კლიტე მართლაც დაადო? მართლაც მან მოუღო ბოლო საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის იმ როლს, რომელსაც შავი ზღვა ასრულებდა შუა საუკუნეების ბოლოს? ...შავი ზღვა ფაქტიურად დასასრულია იმ გზებისა, რომელთაც ჩვეულებრივ აბრეშუმის გზას უწოდებენ. არა და ეს გზა, როგორც ჩანს, XIV საუკუნიდან გაწყდა. მისმა გამამდიდრებელმა ვაჭრობამ, მაშინ სპარსეთს მიმართა. მეორეს მხრივ, XVI საუკუნის შუა ხანებისთვის რუსეთი აუყვა ვოლგის დინებას. რუსებს ხელში ყაზანის სახანო ჩაუვარდათ. 1556 წელს ივანე მრისხანე დაეუფლა ასტრახანს.
ამჯერად კლიტე მტკიცე აღმოჩნდა. შავი ზღვა ჩაიკეტა. ისტორია ამ დიდ ფაქტს უგულვებელყოფს.

/ბაბიძეება შემდეგ ნომერში/



ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

სასწავლო პროგრამა მოიცავს 12 წლიან ციკლს. (აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება - 4-5 წლიანთათვის). სწავლების მესამე საფეხურიდან (მე-11, მე-12 კლასები) გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიულ-ეკონომიკური მიმართულებით. ლიცეუმის ყველა კურსდამთავრებული წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს.

ლიცეუმში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან: უცხო ენებს (ინგლისური, გერმანული, რუსული, ბერძნული (შესაძლოა - იაპონური, ფრანგული)); რელიგიის ისტორიას; კატეხიზმოს; გალობას; ხუცურს; ეკლესიის ისტორიას; ოქრომკედს; ქართულ ცეკვას, ხრიდოლს; ჭადრაკს; მუშაობს მუსიკალური სტუდია.

მისამართი: პეკინის №44 (III სართული), თბილისი

ტელეფონი: 38 01 08
36 12 58

მობილური: 899-42 30 11

www.bagrationi-liceumi.ge

გულო, არ გასტყდე!

გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იდეგ სალადა!
რა ვქნათ, რომ ჯანღი გვეხვევა,
მეცა გყევივარ ავადა.
ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
ნუ დავბერდებით შავადა.
სინათლე ნუმც გაგიქრება
და სხივი მოძმეთ ნუგეში,
ანდერძსა მამა-პაპისას
ფრთხილად ვინახავ უბეში.
ძალნო ცისანო, გვიშველეთ,
საწყალთ ნუ ჩაგვყრით წუმპეში!
გულს ნუ მომიკლავ, უფალო,
იმედს ნუ დამინიავებ,
დაზიანებულს სიცოცხლეს
მეტად ნუ დამიზიანებ;
მიშველე რამა, შენს მადლსა,
წამალს ნუ დამიგვიანებ!
არ მინდა, თავს ლეშად ვგრძნობდე,
უსულოდ გდებულს, ტიალად;
სვავნი, ორბნი და კაჭკაჭნი
მათრევდენ, მჭამდენ ზიარად.
ნუ გადამაქცევ, უფალო,
შხამისა სასმელ ფიალად!
კაცი ვარ, ვაჟკაცის წესზე
გავტყდე, ეს რაღა შნო არი?!
სიმტკიცე მიჭირს დიადი,
ეხლა ისეთი დრო არი.
გამშორდი, სულით სიდაბლევ,
გზაო, მაშინებ ვეღარა,
იმ თავად, ჩემო სავალო,
შენზე ეკალი ეყარა.
გაკაწრულ-გაფხაჭულები
დღესაც ისევ მჭირს ბევრგანა.
ვიცოდი ძალიან კარგად,
ეს უნდა გადამეყარა
და დღესაც ისევ ძველებრივ
უნდა ვიხადო ბეგარა.
გულო, გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძელით,
დღეს მტერი გაგვტეხს ვეღარა.

ვაჟა-ფშაველა

ეს კაცი ასე ილოცავს

ავტოპორტრეტზე წარწერილი ლექსი

ღმერთო, მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.

ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლულზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო
მე შენს სახელზე სანთელი.

დავით გურამიშვილი

ე ს ა ც

თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსი ბერტრან ვერჟელის წიგნიდან «ფილოსოფოსთა ბულვარი რენესანსიდან დღემდე», გამომცემლობა მილან, 2005.

სორენ კიერკეგორი და არსებობა

ჰეგელის ლექციების მოსმენისა და თავისი დროის ბრწყინვალე საზოგადოებაში ტრიალის შემდეგ, კიერკეგორმა დაინახა, რომ ნამდვილი ადამიანები იშვიათად გვხვდებიან...

«...მე ჩემს საფლავს, დავაწერდი მხოლოდ სიტყვას «ინდივიდი». და თუ ამ სიტყვის აზრი ჯერ არ ესმით, მას ოდესმე გაიგებენ... «ინდივიდი» არის სულის გაღვიძების, პოლიტიკასთან მაქსიმალურად დაპირისპირებული კატეგორია... «ინდივიდი»: ეს კატეგორია, მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული. პირველად ის გადამწყვეტი დიალექტიკით გამოიყენა სოკრატემ, წარმართობის გასაფანტად. ქრისტიანობაში მას გამოიყენებენ პირიქით, ადამიანთა (ქრისტიანთა) ქრისტიანებად გადასაქცევად» (კიერკეგორი, «ინდივიდი“). შოპენჰაუერმა დაგმო სიცოცხლის ჟინი და მის მიერ ნატარები ილუზიები, მაგრამ არსებობა, არსებობის ცნება წმინდა ილუზიაზე არ დაიყვანება. არსებობის წყურვილი შეიძლება უახლოვდებობეს ვნებას, ჟინს, მაგრამ ამ ჟინსა და ვნებას არ აქვს მხოლოდ დამღუპველი ასპექტები.
ბერლინში ჰეგელის ლექციების მოსმენის, სალონებში კარგ საზოგადოებასთან შეხვედრის, დაწინდვის მცდელობის, მისი დროის ცნობილი სასულიერო პირების გვერდით ყოფნის შემდეგ, კიერკეგორი, როგორც პასკალი, იმის დანახვამ შესძრა, რომ ნამდვილი ადამიანები იშვიათად გვხვდებიან. ადამიანებს ძალიან ხშირად არ სურთ არსებობა, თავისუფლების მღელვარე და შემაშფოთებელი მომენტის განცდა, მთელი ცხოვრების ჩამთრევი ფუნდამენტური არჩევანის გაკეთებით და ამიტომ, ისინი იმალებიან სიტყვების, საზოგადოებრივი მოდური თამაშების თუ ფუნქციების უკან.

არსებობს საწყენი, უსიამოვნო კოლექტიური ტენდენცია, რომელიც მდგომარეობს გარეგნულობასთან, მოჩვენებითობასთან შეგუებაში, ქცევაში ისე, თითქოს ყველაფერი კარგადაა. თითქოს, ყველაფერი საუკეთესოდ იყოს საუკეთესო სამყაროში. თითქოს ყველაფერი ნორმალურია მაშინ, როდესაც არსებობა არის დრამა, როდესაც არაფერი ხდება თავისთავად და როდესაც წესრიგი სინამდვილეში არის არაბუნებრივი, ხელოვნური გარიგებებით შენიღბული უწესრიგობა. თავის ასეთი დამშვიდება, აყალბებს სიცოცხლეს. არარსებული ცხოვრებით დაკმაყოფილება, ნიშნავს ნამდვილი ცხოვრების ხელიდან გაშვებას, ნაკლს, იმ სახით, როგორიც ის შეიძლებოდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ გადაიქცა კიერკეგორი, არსებობის მგზნებარე დამცველად.

ფოტოზე: დანიელი ფილოსოფოსი სორენ კიერკეგორი (1813-1855)

არსებობა ნიშნავს საკუთარი თავიდან გასვლას, საკუთარი თავის დაძლევას და გადალახვას. არსებობა არაა ყოფნა, ესე იგი რეალობა, ბიოლოგიური სიცოცხლე. არსებობა არის უბრალო რეალობის, როგორც წმინდა ბიოლოგიური სიცოცხლის დაძლევა და გადალახვა. ჩვენ შეიძლება ვიცოცხლოთ არსებობის გარეშე. სწორედ ეს ხდება დუნე და ზარმაც არსებობაში, როდესაც ყველა თავს იკატუნებს და არსებით საკითხებს ემალება მატერიალურ საზრუნავში, საზოგადოებრივ მოდურ თამაშებში ან საშუალო, პატარა ბედნიერებებში. ადამიანი, რომელიც არ გაურბის მას და უარყოფს ამ უსახურობას, ეგზისტენციალური ადამიანია. იგი უშიშრად აცხადებს უქეიფობას და წუხილს რომელიც, არის თვალთმაქცი სამყაროს არსებობაში. ის ასე ბედავს

ევროპაა

მარტოობასთან დაპირისპირებას და აღმოაჩენს ნამდვილ არსებობას.

არსებობა კიერკეგორისთვის ღმერთის მეორე სახელი არის. მისი არსი რელიგიურია. არსებობის საჭიროებას განიცდის, ტრანსცენდენტურობის აღმომჩენი ადამიანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ სიცოცხლეს აქვს სხვა, ყველაფერზე მაღალი განზომილება, რომლის გულისთვისაც ყველაფრის მიტოვებაა საჭირო იმიტომ, რომ მხოლოდ ეს განზომილება ანიჭებს ადამიანს მის ჭეშმარიტ სიმაღლეს და სიდიადეს. ტრანსცენდენტურობის ეს საჭიროება ხშირად ვლინდება ვნებაში. ვნებიანები, რომლებიც დონ ჟუანის მსგავსად მთლიანად ეძლევიან თავის ვნებას, ტრანსცენდენტურობის გზაზე დგანან, თუნდაც საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.
ტრანსცენდენტურობასთან დაკავშირებულია მორალიც, როდესაც სამართალს მოწყურებულნი, სოკრატეს მსგავსად მზად არიან ყველაფრი გაიღონ, რათა ადამიანის სახელის ღირსი ადამიანების სამყარო გაჩნდეს. მაგრამ ტრანსცენდენტურობა ყველაზე მეტად განსრულდება რელიგიაში, სადაც სიდიადე სიდიადემდე და არა უბრალოდ ვნებამდე ან ადამიანობამდე მიდის. მაშინ სიდიადე ჭეშმარიტად ხორციელდება და ადამიანები ხდებიან ჭეშმარიტად ცოცხლები, როგორც ქრისტე, რომელიც არსებობის ბოლომდე მივიდა, არსებობის სიკვდილამდე ატანით.

ტოტალიტარიზმის გააზრება თეოდორ ადორნოდან ჰანა არენდთამდე

«თავისუფლება განუყოფელია განათლებული აზრისაგან... თუკი გონება არ იაზროვნებს, ის თავის ბედს დალუქავს. …ბრმად პრაგმატიზებული აზრი თავის ტრანსცენდენტურ ხასიათს და კავშირს ჭეშმარიტებასთან კარგავს...» (თეოდორ ადორნო, მაქს ჰორკჰაიმერი, „გონების დიალექტიკა“).



ფოტოზე: გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი ჰანა არენდთი (1906-1975)

„ადამიანური“ არის არაადამიანურის საპირისპირო რამ, იგი ადამიანების ურთიერთდახმარების უნარს ეფუძნება, ურთიერთდახმარებისა, რომელსაც სხვის მიმართ თანაგრძნობა წარმოქმნის. მიუხედავად ამისა, „ადამიანური“ ზოგჯერ შეიძლება არაადამიანური იყოს. როგორ? როდესაც ადამიანი არის კულტის თაყვანისცემის ობიექტი. ამიტომ აუცილებელია, ჰუმანიზმის ფარდობითი ხასიათის დანახვა. ის ადამიანისთვის არ არის, უბრალოდ ანგარიშის გამწევი კულტურის დიდი მოძრაობა, ის ზოგჯერ ადამიანის თაყვანისცემაცაა, მისი კერპად გადაქცევა, კერპთაყვანისმცემლობა. ეს სპეციფიური დემარშებით შენიშნეს ფრანკფურტის (ფილოსოფიურმა) სკოლამ და გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰანა არენდთმა.

ფრანკფურტის სკოლა მარქსიზმის მემკვიდრეა გერმანიაში, თეოდორ ადორნოსა და მაქს ჰორკჰაიმერისთანა მოაზროვნეებთან, მაგრამ აგრეთვე ჰერბერტ მარკუზესთან ერთად, მან კრიტიკულად გაანალიზა მარქსიზმი და თანამედროვე საზოგადოება. თეოდორ ადორნომ და მაქს ჰორკჰაიმერმა შეგვახსენეს, რომ XX საუკუნეში მოთარეშე ტოტალიტარიზმი, სინამდვილეში ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, მაშინ, როდესაც დასავლურმა კულტურამ ადამიანის სოციალური და ისტორიული ქცევების ახსნას მეს შენარჩუნება, ესე იგი ეგოიზმი დაუდო საფუძვლად.

ადამიანური სინამდვილის ახსნა, ინდივიდთა ეგოისტურ წადილზე დაყრდნობით მათ ქმედებათა ფარული ლოგიკის გაგების საშუალებას იძლევა, შედეგი მისი აგრეთვე ყველაფრის ახსნა და გამართლებაა. ამ რაციონალობის სიღრმეში ღრმად აქედან ჩნდება თვითმნგრეველი პროცესი. რაც უფრო მეტად ხსნის გონება ყველაფერს ეგოიზმით, მით უფრო ათანაბრებს ის ღირებულებებს და ქცევებს. ამის მაგალითია დღევანდელი გამოთქმა: «ყველას აქვს თავისი ღირებულებები», «დაე ყველას ჰქონდეს თავისი ღირებულებები». ეს იწვევს ყველაფრის გამართლებას, გონებისა და ძალადობის დაყენებას ერთსა და იმავე დონეზე. ამიტომაა საჭირო უკან დახევა, რასაც ადორნო და ჰორკჰაიმერი აკეთებენ, მაგრამ ასევე ვალტერ ბენჟამა, რომელიც იუდაიზმის ხელახლა აღმოჩენით სხვის მნიშვნელობასთან დაბრუნებას ქადაგებს და არა ეგოიზმს. ან კიდევ იურგენ ჰაბერმასი, რომელიც ეგოიზმის დაძლევას კომუნიკაციის ლოგიკით ცდილობს.

ჰანა არენდთი მოდის არა მარქსიზმიდან, არამედ ფენომენოლოგიიდან, რომელიც მან მარტინ ჰაიდეგერთან და კარლ იასპერსთან ერთად ისწავლა. აქედან წარმოდგება რამოდენიმე განსხვავებული დიაგნოზი. მისი აზრით, ტოტალირიზმი უფრო აბსტრაქციის ფენომენიდან მოდის, ვიდრე მეს შენარჩუნების ეგოისტური ლოგიკიდან.
საზოგადოებაში მოქმედი, დემოკრატიული დისკუსიის მსვლელობისას, სხვათა ინტერესებთან დაპირისიპირებული ინტერესების მორჩილი ადამიანი ტოტალიტარიზმმა მასის ადამიანის ფიგურით შეცვალა, მასაში ჩაკარგვით ხორცს მოკლებული, საზოგადოების გარეთ დარჩენილი და საკუთარ თავთან რეალური კავშირის დამკარგავი ადამიანის ფიგურით.

ჰანა არენდთის აზრით, მასის ცნება ადამიანის უფლებების რევოლუციური იდეოლოგიის მიერ ნაქადაგებ, ადამიანის იდეალთან ერთად გაჩნდა. ადამიანის უფლებების იდეოლოგიას მხოლოდ ჰუმანისტური ხასიათი არ აქვს, ის ასევე ადამიანის საშიშ კულტს ქმნის. როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს, ის ვეღარ ხედავს რას აკეთებს და ბოროტების ბანალურობაში ვარდება.
ჰუმანიზმის პარადოქსი: ადამიანურის საწინააღმდეგო არაადამიანური შეიძლება გამოიწვიოს კერპად, თაყვანისცემის ობიექტად ქცეულმა ადამიანმა. ამ ორაზროვნებას კაპიტალიზმის დამკვიდრება გამოხატავს. ეგოიზმი საზოგადოებაში იჭრება პიროვნების გრძნობასთან ერთად და მის საწინააღმდეგოდ; მასობრივ ეგოიზმად ქცეული, დასავლური კულტურის ახალი ღმერთის - «უნივერსალური ადამიანის» ფორმას იძენს. ამ კერპთაყვანისმცემლობის დაძლევა, კრიტიკული აზრით შეიძლება, საზოგადოების ადამიანად (ამ ცნების კეთილშობილი მნიშვნელობით) ყოფნითაც, ადამიანობით და არა ადამიანის მითად ქცევით.

ლიბერალიზმის გააზრება რაიმონ არონიდან ჯონ რაულსამდე

«ჰაიეკის აზრით, ლიბერალები მხოლოდ ისინი არიან, ვინც ფიქრობენ, რომ სამყარო ჩვენთვის უცნობ კანონებს ემორჩილება; საბოლოო ანგარიშით ლიბერალებისთვის ინდივიდუალურ ინიციატივათა ჯამი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მმართველი ელიტის მიერ გააზრებული დაგეგმვა.» (გი სორმანი, ლიბერალური გადაწყვეტა).

ტოტალიტარიზმის კრიტიკა გამართლებული იყო, მაგრამ რა უნდა იყოს მის ადგილას? დემარშებით ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ კანტით შთაგონებული ფილოსოფოსები რაიმონ არონი საფრანგეთში და ჯონ რაულსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამბობენ: ლიბერალიზმი.

რაიმონ არონის დემარში უბრალო დასკვნას ეფუძნება: არსებობს პოლიტიკური ცხოვრების ორგვარად წარმოდგენის შესაძლებლობა. პირველი მონისტურია, მეორე-დუალისტური. მონისტობა კაცობრიობიდან როგორც მთლიანობიდან ამოსვლას ნიშნავს, ესე იგი თქმას იმისა, რომ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოება საკუთარ თავთან შერიგებული ერთიანი და რეალური კაცობრიობა არის. მონიზმის დადებითი თვისებაა რეალური ადამიანის და რეალური კაცობრიობის დაცვა, მაგრამ მას ტოტალიტარიზმამდე მივყავართ. როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ასეთი რეალური კაცობრიობის შექმნას ისე, რომ არ გამოვჩნდეთ არაადამიანებად? აქედანაა ყველა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიური დიქტატურა. ისინი პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ადამიანობის, კაცობრიობის ღირებულებებს განასახიერებენ და ყოველგვარ ოპოზიციას უარყოფენ.

რაიმონ არონმა გააკრიტიკა მონიზმი პოლიტიკაში. მან მას სხვა გზა-დუალიზმი დაუპირისპირა. დუალისტური გზა, ესაა ამოსვლა არა მთლიანობად წარმოდგენილი კაცობრიობიდან, არამედ აარსებული, რეალური ადამიანიდან მის ინტერესებთან ერთად. ამ ინტერესებს პოლიტიკურ სივრცეში გამოხატვის საშუალება უნდა მიეცეთ, მაქსიმალურად თავისუფალი დისკუსისს გარანტია უნდა არსებობდეს. დუალიზმს არა აქვს პრეტენზია კაცობრიობის ერთიანობის განხორციელებაზე, მისი ღირსება კაცობრიობის თავისუფლების შენარჩუნებაა. მონიზმი პრეტენზიას აცხადებს კაცობრიობის სახელით ლაპარაკზე, დუალიზმი კი კაცობრიობასთან როგორც ადამიანთან ლაპარაკით კმაყოფილდება.



ფოტოზე: ფრანგი ფილოსოფოსი რაიმონ არონი (1905-1983)

რაიმონ არონის აზრით, ლიბერალურ საზოგადოებას მის არასრულყოფილებათა მიუხედავად მომავალი აქვს იმიტომ, რომ აზროვნების თავისუფლებას ის არსებობის საშუალებას აძლევს. ჯონ რაულსის აზრით, რაციონალურობა ლიბერალიზმის ღირსებაა. შეგვიძლია ისე, როგორც მარქსიზმშია, რეალური კაცობრიობიდან ამოვიდეთ და რეალური კაცობრიობის რეალიზაცია გვინდოდეს. მაგრამ შეიძლება გონებიდანაც ამოსვლა. ეს ნიშნავს პრინციპად აღებას იდეისა, რომლის თანახმადაც საზოგადოება არის თამაში, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. თავიდან ეს აბსტრაქტულად ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ის წყვეტს წინააღმდეგობებს, რომლებიც განუწყვეტლად აღელვებენ საზოგადოებას. ასე მაგალითად, ეკონომიკისათვის უფრო დინამიური ინდივიდუალური ინიციატივების მომხრე ლიბერალები სიმდიდრის საზოგადოებისთვის უფრო ადამიანური გადანაწილების მომხრე დემოკრატებს უპირისპირდებიან.



ფოტოზე: ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ რაულსი (1921-2002)

ლიბერალები რომ თამაშს თამაშობდნენ, მიხვდებოდნენ, რომ მათი ინტერესია საზოგადოება, რომელიც უთანასწორობათა გამო არ აფეთქდება და მაშ სიმდიდრეთა გადანაწილებაა საჭიროა. დემოკრატებიც რომ თამაშს თამაშობდნენ, ისინიც მიხვდებოდნენ, რომ საწარმოების და ინიციატივიან მეწარმეთა ყოფნა მათ ინტერესშია, ესე იგი უთანასწორობის წილს დაუშვებდნენ. ყველა რომ თამაშობდეს თამაშს, რაციონალურად ყველა მიხვდებოდა, რომ მიზნის მისაღწევად სხვისთვის ანგარიშის გაწევა საჭიროა. ჯონ რაულსის აზრით, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ძალაა წესიერი თამაში (ფაირ გეიმ). ამ ლოგიკაში ესაა ერთადერთი ლოგიკა, რომელსაც როგორც ჯუნგლის კანონის ეგოისტური სამყაროს, ისე ეგალიტარული დიქტატურების სამყაროს დაძლევა შეუძლია.

შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 24 მაისს
www.ai-ia.info

როჟე-პოლ დრუა, პარიზი, 2008

ყველასათვის ახსნილი დასავლეთი

ᲑᲐᲑᲘᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ: “ᲐᲘ ᲘᲐ.„ , Nr.1 ᲓᲐ 2

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

თავი III - ნათელი სახე, ბნელი სახე

აქამდე ჩვენ ვახსენეთ მხოლოდ ნათელი, ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, მეცნიერული რაციონალობის, საგანმანათლებლო სიმდიდრის, დემოკრატიის, თავისუფლებათა, პიროვნებათა პატივისცემის, სქესთა თანასწორობის, მორალურ ღირებულებათა ნათელი სახე. მაგრამ ის არ არის ერთადერთი. მეცნიერების, ხელოვნების, ყველაზე გულუხვი იდეების, უძლიერეს მორალურ ღირებულებათა განვითარების ამ სახის გვერდით, არის მკვლელი დასავლეთიც, რომელსაც დედამიწის ზედაპირიდან მთელი ცივილიზაციების აღგვა შეეძლო. მსოფლიოს ისტორიაში, არც ერთ ცივილიზაციას არ გამოუწვევია ამდენი ადამიანის დაღუპვა, როგორც დასავლეთის ცივილიზაციამ. დასავლეთის ბნელ მხარეს არის ჩადენილ საშინელებათა, მომსპარ ხალხთა, დასავლეთის მიერ კაცობრიობისთვის მიყენებულ ტკივილთა გრძელი სია.

დასავლეთის დაპყრობები სისხლიანი იყო. მათ ააოხრეს მთელი კონტინენტები. მაგალითად გავიხსენოთ რამოდენიმე თაობის მანძილზე როგორ გააქრეს ლათინური და ცენტრალური ამერიკის მილიონობით ინდიელი აღორძინების ხანის დასავლელებმა, ძირითადად ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, ჰოლანდიელებმა. «კონკისტადორებმა» დაამხეს ინკების და აცტეკების დიდი ცივილიზაციები. ეს ხალხები არ მოუსპია მხოლოდ ევროპელების მიერ ჩატანილ ახალ ვირუსებს ან ალკოჰოლსა და მათი ცხოვრების წესის დეზორგანიზაციას. სამშობლოში კარგი ოჯახების უფროსმა და ერთგულმა ქვეშევრდომმა ევროპელმა ოფიცრებმა, ამერიკაში ხშირად შეგნებულად და გააზრებულად მასობრივი სასაკლაოები მოაწყვეს. იმდროინდელ მემატიანეთა ნაშრომების მკითხველს აჟრჟოლებს: ალმოდებული სოფლები, დაფანტული ოჯახები, მშობლების თვალწინ დახოცილი ბავშვები, დედების თვალწინ ძაღლებისათვის საჯიჯგნად მიგდებული პატარები... მკითხველს გულს ურევს და უხეთქავს ინდიელთა ტანჯვისა და ჟლეტის სია. ის პირველ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა საშინელებების ჩადენა შეუძლია დასავლეთს. ჟლეტდნენ მთლიანობაში, სრულებით შეგნებულად. ზოგი პროტესტის გამოკლებით, მოვლენების თამამედროვეთა უმრავლესობა, მკვდრების ამ გროვებს, თითქოს ბუნებრივ მოვლენად თვლიდა: ინდიელები არ იყვნენ ნადვილი ადამიანები, ამ ველურებს არ ჰქონდათ ჩვენნაირი სულები. მათ ხშირად ცხოველებად, ღირსების არმქონე მხეცებად, საგნებად და არა ადამიანებად თვლიდნენ.

იგივეს ვხედავთ, მონათმფლობელობის და მონებით ვაჭრობის სისტემის გულში. იმისათვის, რომ იყიდო ან გაყიდო ადამიანი, როგორც პირუტყვი ან საგანი, უნდა ფიქრობდე, რომ ადამიანის გარეგნობის მქონე ეს არსება ნამდვილი ადამიანი არ არის. სწორედ ამ კონცეფციით შეიარაღებულმა დასავლეთმა, აფრიკა მოსახლეობისაგან მონებით ვაჭრობით დასცალა. მილიონობით შავკანიანი მოსწყვიტეს თავიანთ ოჯახებს, მშობლიურ გარემოს, გადაიყვანეს ამერიკაში ან არაბებს მიჰყიდეს. ნაყიდ-გაყიდულ-გადასახლებულნი ღატაკ და ბეჩავ ცხოვრებას ეწეოდნენ. ყველაზე უარესი ის არის, რომ კლასიკური ხანის, ლუდოვიკო XIV-ის, მოლიერის, ვერსალის სასახლის და ლიულის მუსიკის დასავლეთმა ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული ამ დანაშაულის ოფიციალური კოდიფიკაცია მოახდინა.
«შავი კოდექსი» აკანონებდა გაქცეული მონებისათვის განკუთვნილ სასჯელებს ან აზუსტებდა, რომ მაგალითად მონა ქალის შვილი, არის ამ ქალის პატრონის საკუთრება და არა ბავშვის მამის, ესე იგი მამას ართმევდნენ თავის ბავშვს.

განვითარებული, ქრისტიანი, მორალური, დიდი უნივერსალისტური სიტყვების წარმომთქმელი დასავლეთის გულში, ამაზრზენი ბარბაროსობა სრულებით კანონიერად რჩებოდა. ეს იყო ვიმეორებ ახალ დრომდეც, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგაც, ვინაიდან მონათმფლობელობა საბოლოოდ მხოლოდ 1848 წელს გაუქმდა. მონებით ვაჭრობა უკანონო გახდა და ისჯებოდა, მაგრამ დასავლეთი მკვლელობებს სხვა ფორმებით აგრძელებდა. უკანონოდ გამოცხადებული მონებით ვაჭრობა კოლონიურმა დაპყრობებმა შეცვალა. ჩრდილოეთ ამერიკაში, ეს არის «დასავლეთის დაპყრობის», ინდიელთა ჟლეტის და მათი ძველი ცივილიზაციების მოსპობის ხანა. დანარჩენ მსოფლიოში კი, ესაა დაპყრობების და კოლონიური იმპერიების შენების დრო. XIX საუკუნეში, რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე დასავლეთის რამოდენიმე დიდი ერი - დასავლეთ ევროპის მთავარი ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები) ფაქტიურად მთელს მსოფლიოზე ბატონობენ. მათ დაიპყრეს აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიის მიწები ინდოჩინეთიდან მალაიზიამდე

ფოტოზე: 18-ე საუკუნის დასასრულს დამზადებული გერმანული მედალიონი ღმერთი იანუსის გამოსახულებითა და წარწერით «მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისათვის»

და ავსტრალიამდე... და მათი სიმდიდრეები. დასავლეთმა ამგვრად დაიპყრო, სხვა კონტინენტების ბუნებრივი რესურსები და ადამიანური სიმდიდრეები. მის დაპყრობებს თან სისხლისღვრა ახლდა. მათი ბაზებიდან ათასობით კილომეტრით მოშორებული მცირერიცხოვანი ჯარების სწრაფ და ტოტალურ გამარჯვებას მათი შეიარაღების უპირატესობა უზრუნველყოფდა. კოლონიალური ექსპანსია, დიდად გააადვილა ავტომატურმა ტყვიამფრქვევმა. ერთადერთ ტყვიამფრქვევს ყოველ დღე ასობით მხოლოდ მშვილდისრით შეიარაღებული ადამიანის მოკვლა შეეძლო. აი დასავლეთის ექსპანსიის სხვაგვარი ხედვა. მისი ბატონობა დაკავშირებულია აგრეთვე იმასთან, რომ მას შეუძლია უფრო მეტის უფრო სწრაფად მოკვლა, ვიდრე მის მოწინააღმდეგეს. დასავლეთს ნამდვილად აქვს საზარელი ასპექტები. მის ისტორიაში არის რეგულარულად განმეორებადი «ჟლეტი» მხარე. დასავლურ დემარშში, უეცრად შეიძლება ჭეშმარიტად მკვლელი განზომილება ვიგრძნოთ. განა მართლები არ არიან დასავლეთის მოწინააღმდეგეები, როდესაც ისინი თვლიან, რომ დასავლეთი არის, ყველა ადამიანური ღირებულების მომსპობი სულიერი სიმშრალის მატარებელი? საკუთარი თავისთვის ამ კითხვის დასმა აუცილებელია. პასუხად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ისტორიის მანძილზე თავისი მტრების მოსპობა პრაქტიკულად ყველა ცივილიზაციამ სცადა. ისინი იპყრობდნენ და აწყობდნენ სასაკლაოებს. ამ თვალსაზრისით მაშ დასავლეთის «პრივილეგია» არ არსებობს. დასავლეთის სიდიადის გვერდით არის შავი მხარეც, მისი შეცდომები და საშინელებები, მაგრამ ის ამ შემთხვევაში ერთადერთი არ ყოფილა. ასე თუ ისე, ყველა დიდი კულტურა მსგავსად მოიქცეოდა.
ეს პასუხი არადამაკმაყოფილებელია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ის ანგარიშს არ უწევს დასავლეთის მეცნიერულ და ტექნიკურ ძალას. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ცივილიზაცია მეტ-ნაკლებად მკვლელი იყო, მაგრამ დასავლეთის შემთხვევა მაინც განსაკუთრებულია იმიტომ, რომ მისი დამანგრეველი ძალა შეუდარებელია სხვა ძალასთან. დასავლეთს აქვს სასაკლაოების განსაკუთრებული გენია, რომელიც ვლინდება მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მას ჰქონდა მოკვლის მეტი ძალა, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებს და ეს მისი ბატონობის თითქმის მუდმივ ფაქტორს წარმოადგენდა. სპარსელებზე ოთხჯერ, თუ ხუთჯერ უფრო მცირერიცხოვანმა ბერძნებმა, სალამინთან და პლატეასთან სპარსელები იმიტომ დაამარცხეს, რომ ბერძნებს მკვლელობის უფრო დიდი უნარი ჰქონდათ, მათ უფრო დიდი სასაკლაოების მოწყობა შეეძლოთ. იგივე ითქმის ინკებთან და აცტეკებთან დაპირისპირებულ პორტუგალიელებზე და ესპანელებზე, ან კიდევ აფრიკისა და აზიის დამპყრობელ ბრიტანელებზე, ფრანგებზე და გერმანელებზე. მაგრამ დასავლეთს, იმდენად სხვათა მოსპობა არ სურს, რამდენადაც მათზე გაბატონება, მათი გაკონტროლება ან გარდაქმნა, რათა ისინი თავად მას დაემსგავსონ.
სხვათა გარდაქმნის ზომებია კოლონიზაცია, სხვათა განათლების თუ ასიმილაციის ურიცხვი ძველი თუ ახალი ზომა. ლაპარაკი ნგრევაზე ნაწილობრივ მართალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ იმიტომ, რომ სხვე-ბი ფიზიკურად არ მოუსპიათ, მეტიც, სხვებმა საკუთარი მეობის გამოხატვის და თავდაცვის, ბრძოლის ახალი საშუალებები შეიძინეს.

გარკვეული აზრით პრობლემის გული დღეს აქ არის: დასავლეთი გარდაქმნის ყველაფერს, მაგრამ ეს გარდაქმნები ბოლოს და ბოლოს მას ხელიდან ეცლება და თვითონ გარდაიქმნება. ამ ფაქტს დავუბრუნდებით, ვინაიდან იგი არსებითია.
მაგრამ დამატებით უნდა გამოვიკვლიოთ, თითქოს სხვა ცივილიზაციებზე უფრო მეტად, დასავლეთის სახის ბნელ მხარეს არსებული მკვლელობის ძალის საკითხი. ამან დასავლეთი იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ის თითქოს სხვებს კი აღარ, საკუთარ თავს სპობს. დასავლეთის მიერ საკუთარი თავის მოსპობა, მაშტაბურად პირველად პირველი მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. პლანეტარულ კონფლიქტად გადაქცევამდე, ეს გახლდათ უზარმაზარი სასაკლაო, როდესაც დასავლეთ ევროპის დიდი ერები ერთმანეთს ხოცავენ. 1914-1918 წლებში მილიონობით ახალგაზრდა დაიღუპა ზარბაზნების, ყუმბარების და ხელყუმბარების აფეთქებისგან, ტალახში და სიცივეში. დრამა უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ამ სასაკლაოს ხელი ვერაფერმა შეუშალა.
მეცნიერებათა განვითარებამ, განათლების პროგრესმა, უნივერსიტეტთა გამრავლებამ, დასავლეთის ცივილიზაციის ყველა ამ სიამაყემ, ვერ შეუშალა ხელი დასავლეთს საკუთარი თავის ველურ და უსასტიკეს ნგრევაში. გარკვეული აზრით, ესაა ამ ცივილიზაციის დიდი მარცხის ფორმა, რისი გამოსწორებაც დასავლეთმა სცადა, თუმცა მისი გადაწყვეტილებები კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა.

1914-1918 წლების დიდმა ომმა, ფაქტიურად ახალ მკვლელ საშინელებებს მისცა ბიძგი. მათ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული მიზნები ამოძრავებდათ. ეს საშინელებანი ძალიან მალე მკვლელ მანქანებად გადაიქცნენ. ერთის მხრივ ესაა ნაციზმი, მეორეს მხრივ კი კომუნიზმი; მათი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიზნები, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ნაციზმის შემთხვევაში, ლაპარაკი არიელთა ბიოლოგიურად და კულტურულად უზენაეს რასად მიჩნეული რასის, სხვა რასების ტოტალობაზე ბატონობის უზრუნველყოფაზე იყო. ამ ბატონობის საბოლოოდ დასამყარებლად, ნაცისტების განცხადებით ებრაელების არსებობით განსახიერებული მთავარი «ჭუჭყის» მოსპობა იყო საჭირო. კომუნიზმის მიზნები, პირიქით, დიდად გულუხვი გახლდათ: ყველა ადამიანის თანასწორობის დამყარება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის და მის შედეგად წარმოშობილი ტანჯვისთვის ბოლოს მოღება. საბოლოო ანგარიშით, შედეგი ორივე მხრიდან მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ჟლეტაა. ნაცისტების მხრიდან, ეს უდანაშაულო ადამიანები უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ქვეყნებიდან უკრაინამდე ტყვიით, ან ნაცისტების მიერ გერმანიასა და პოლონეთში აშენებულ მომსპობ ბანაკების გაზის კამერებში დახოცილი მილიონობით ებრაელია.
ციმბირში, გულაგის ბანაკებში გადასახლებული, ან გაუსამართლებლად ტყვიით დახოცილი მილიონობით რუსი ამოწყვიტეს კომუნისტებმა. ადამინთა ჟლეტას ისინი ხალხის ექსპლუატატორებად მიჩნეულთა ფიზიკურად თავიდან მოშორების აუცილებლობით ამართლებდნე. ეს ორივე მკვლელი რეჟიმი, დასავლეთის შვილია. უეჭველია საშინლად მახინჯი და თავზარდამცემი, მაგრამ დასავლური ცივილიზაციის უშუალო შთამომავალი. ორივე ფაქტიურად ევროპის პროდუქტია. ორივე XIX საუკუნის ბოლოს დასავლეთის ყველაზე ცივილიზებულ და ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში გაჩნდა. მათში არის დასავლეთის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი: რწმენა იმისა, რომ დასავლეთმა იცის მთელი კაცობრიობისთვის ვარგისი ჭეშმარიტება, რომელიც მთლიანად განხორციელების და სინამდვილეში დაკონკრეტების შემთხვევაში, კაცობრიობას გააბედნიერებს .
ამ რეჟიმებმა, რომლებსაც ტოტალიტარიზმს უწოდებენ იმიტომ, რომ მათ საზოგადოების და ცალკეულ ინდივიდთა სიცოცხლის მთლიანად გაკონტროლება სურთ, შემზარავად გააძლიერა დასავლეთის დამახასიათებელი ნიშნები, რომელნიც დასავლეთის მთელ ისტორიაში არსებობს; წინასწარ დადგენილი მოდელის შესაბამისად სურვილი ყველას გაბედნიერებისა და მოწინააღმდეგეთა ფიზიკური მოსპობა. მაგრამ დასავლეთი არ წარმოადგენს მხოლოდ საშიშროებას კაცობრიობისათვის, ის არაა ნებისმიერ ფასად თავიდან მოსაშორებელი ბარბაროსობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს დასავლეთის ნათელი სახეც!

სასაკლაოების, მონობის და სისასტიკეთა დროსაც კი ხდება საერთაშორისო სამართლის შემუშავება, მსოფლიო ცხოვრების დონის უწყვეტი გაუმჯობესება, ადამიანის სი-

ცოცხლის გახანგრძლივება, მთელი პლანეტის დემოგრაფიული ექსპანსია, დემოკრატიული პრინციპების გავრცელება, თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ მიღებული კონსტიტუციური ფორმა... ამ ორი სახის ერთიანად გააზრება ყველაზე რთულია: ერთ მხარეს არის ჩრდილები და საშინელებები, მეორე მხარეს ინტელექტუალური, ტექნიკური, ფინანსური, სოციალური, იურიდიული, მორალური პროგრესი, რაც დასავლეთის გარეშე მსოფლიოში არ მოხდებოდა და გავრცელდებოდა. დასავლეთი ერთსა და იმავე დროს არის ადამიანის, საუკეთესო და ყველაზე უარესი გამოგონება.

ცენტრალური პრობლემა, დასავლეთის რაობაზე და მის მომავალზე ფიქრისას, სწორედ ეს ორმაგი სახე არის, რომელსაც განსაკუთრებული არსებობა გააჩნია. რადგან ეს ორმაგი, ნათელი და ბნელი სახე უბრალოდ დადებით და უარყოფით მხარეებს არ ნიშნავს. ის სავსებით არ შეესაბამება არც წარმატებებსა და წარუმატებლობებს, არც კარგსა და ცუდს. დასავლეთის სიკეთეთა და ბოროტებათა ორ სვეტად ჩამოწერა არაა საკმარისი. აქტივისა და პასივის შედარებით შეჯამება არ არის მნიშვნელოვანი. ამ პერსპექტივაში უსასრულო იქნება დავა იმაზე, თუ რომელი სვეტია მეორეზე მეტი, დასავლეთის ისტორიის ჯამური შედეგი დადებითია თუ უარყოფითი. ვერავინ ვერ მივა ერთსა და იმავე შედეგამდე, უსასრულოდ იდავებენ იმაზე, დასავლეთი კარგია თუ ცუდი. ეს არაა პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე საინტერესო საშუალება.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ამ ორი სახის კავშირზე დაფიქრება. ყველაზე დიდი პრობლემა ამ ორი სახის თანაარსებობა არის. რა არის მათი ამ მუდმივი თანაარსებობის მთავარი შედეგი? დასავლეთმა ბოლოს და ბოლოს ნებისმიერ სხვა ცივილიზაციაზე მეტად შეაუღლა გულმოწყალება და სასაკლაოები, მეცნიერული პროგრესი და ბატონობა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო, უნივერსალური განცხადება და მთელი ხალხების დამონება. სწორედ ამას უნდა დავუფიქრდეთ ყველაზე მეტად. როგორ ხდება ამ ეგალიტარული, მორალური, უნივერსალურ-საყოველთაო სიტყვების დაწყვილება მაშტაბურ სასაკლაოებთან? ეს არის აბსოლუტურად უმაგალითო თავისებურება. დასავლელები ჟლეტდნენ, იპყრობდნენ, კოლონიზაციას ახდენდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ მორალური იდეებით თავში და უნივერსალისტური სიტყვების წარმოთქმით. ეს ძალიან უცნაური კავშირი ყველა ეპოქაშია. სწორედ მოყვასის სიყვარულის და ქრისტეს თანაგრძნობის მქადაგებელი ქრისტიანები ანთებდნენ ინკვიზიციის კოცონებს, ახალი სამყაროს დაპყრობისას სწორედ მათ ჟლიტეს ინდიელთა ტომები (ეს ყველა ქრისტიანს არ ჩაუდენია, იყვნენ ყოველივე ამის მოწინააღმდეგე კათოლიკებიც კი, მაგალითად მამა ბართლომე ლას კასასი, რომელიც კონკისტადორებისაგან განსხვავებით მიიჩნევდა, რომ ინდიელებს და ევროპელებს აქვთ ერთნაირი სულები და ინდიელთა ჟლეტა ცოდვაა, მაგრამ ამას ავტორი აქ არ ახსენებს; მივუტევოთ ქრისტიანულად. მთარგმნელი).

სწორედ ველურობის დამარცხებაზე, საყოველთაო განათლებაზე და ცივილიზაციის მოსვლაზე ლაპარაკით ააოხრა დასავლეთმა აფრიკა და აზია, დაიმორჩილა ისინი.

ამ ორმაგმა სახემ, მეხსიერებებში წარუშლელი კვალი დატოვა. სამხრეთის და მესამე სამყაროს ქვეყნების უნდობლობა დასავლეთის მიმართ, მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ხალხებმა მათი მჩაგვრელების საუბარი უნივერსალურობაზე და სამართალზე გაიგეს. რომ ეს ქვეყნები სამართლის სახელით აღმოაჩინეს და დაიპყრეს, გასრისეს და დაიმონეს სწორედ მათ, ვინც მართლმსაჯულების და თანასწორობის პრინციპებს ქადაგებდა. დასავლეთის თავისებურება იმაშია, რომ ის ერთდროულად პატივიცემისა და შემწყნარებლობის ღირებულებებს ქადაგებდა და ამავე დროს სპობდა მათ. განა უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთის ცივილიზაცია ყველაზე უარესი ცივილიზაცია იყო? ის იქნებოდა გარყვნილი იმიტომ, რომ არ აკეთებდა იმას, რასაც ამბობდადაარამბობდაიმას,რასაცაკეთებდა.ის მიუღებელი იქნებოდა იმიტომ, რომ სრესდა განთავისუფლების და იმონებდა ემანსიპაციის პრეტენზიებით.

დასავლეთის ორი სახის კავშირის ახსნა, სამი სქემის მეშვეობით შეიძლება.

პირველი სქემა ხაზს უსვამს ბნელი სახის როლს და თვლის, რომ მორალური სიტყვები და უნივერსალური ღირებულებები მხოლოდ ნიღბები და ფასადებია. სინამდვილე ამ შემთხვევაში ნგრევა და ბატონობა იქნებოდა. ამ პერსპექტივაში დასავლეთის ცივილიზაცია პრინციპულად პირმოთნე, ფარისეველი უნდა იყოს. ის თავს იკატუნებს, ყველას ატყუებს თავისი ნათელი სახით მაშინ, როდესაც სინამდვილეში მისი მიზანი მთელი დედამიწის დაპყრობა და ექსპლუატაციაა. ამ შემთხვევაში ბრძოლის მიზანი დასავლეთის ორპირობის და პირმოთნეობის მხილება და მისი, როგორც მკვლელის ნამდვილი სახის ჩვენება უნდა იყოს.

მეორე სქემა დასავლეთში ერთმანეთისაგან განსხვავებულიდადაპირისპირებული,დაახლოებით თანაბარი ძალების არსებობას აღიარებს. ამ თვალსაზრისით, დასავლეთის ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც სამართლის, სოლიდარობის, შემწყნარებლობის მატარებელი მიმდინარეობები არსებობს, რომელთაც სიკვდილის და სიძულვილის მატარებელი სხვა მოძრაობები უპირისპირდება. ბრძოლის მიზანი ამ შემთხვევაში პირველთა გაძლიერება და მეორეთა დასუსტება უნდა იყოს. საუბარია ყველაფრის გაკეთებაზე იმისათვის, რომ დასავლეთი შეესაბამებოდეს მის მიერვე ნაქადაგებ ღირებულებებს.

მესამე სქემა, ცოტა უფრო რთულად გასაგები და ერთი შეხედვით უფრო შემაშფოთებელია. მის თანახმად, ბნელი სახე, შეიძლება ნათელი სახის მიერ იყოს გაჩენილი, სიკეთის ქმნისას დაშვებული შეცდომის გამო. თითქოს ამ სიკეთეს უნდა გაეჩინა ბოროტება. ქრისტიანულიდაშემდეგადამიანის უფლებათა უნივერსალობანი არ უნდა იყვნენ თითქოს ისეთი უმანკონი, როგორადაც ჩანან. ყველა განსხვავების მოსპობით, ისინი სხვათა ინდივიდუალობებს უნდა სპობდნენ, რაც ძალადობას და შეჯახებებს იწვევს.

საკითხის ბოლომდე გასარკვევად, ჩვენ ბოლო ელემენტები გვაკლია. დასავლეთი აღარაა ერთიანი ბლოკი. უკვე ითქვა, რომ ის მონდიალიზებულია (გლობალიზებული), ან უფრო მსოფლიოა გადასავლურებულ-ოქსიდენტალიზებული. მაგრამ მაინც, რას ნიშნავს გადასავლურება-ოქსიდენტალიზაცია? რას გულისხმობს ეს ცნება?

/ბაბიძეება შემდეგ ნომერში/

გრიგოლ რობაქიძე

დავით აღმაშენებელი



ფოტოზე: დავით IV აღმაშენებელი., XVI საუკუნე, გელათის ღმრთისმშობლის ტაძარი, ჩრდილოეთი კედელი, ფრაგმენტი.

ეს მეფური მართვა-კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: "მართვა", ანუ დგინება "მართლისა"-ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო ქართულ მითოსში, არამედ ქართულ "ისტორიაშიც".

"რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალგყვა ღმერთმა ქვეყანასა განგებასა"-ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ ნაწარმოებში: "ცხოვრებაი წმინდა გრიგოლ ხანძთელისა", "სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩემთაგან"-ამბობს დიდი დედოფალი თამარ. კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით "მეფე-ღვდელიც". სახელი მისი აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას "საღმთო წერილიც" მიჰქონდა ხოლმე თან. ერთხელ "სამოციქულოს კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც "ხრმალი ქრისტესი" ხან კი როგორც "ყრმა ქრისტესი": ხრმალი აქ მეფეა, ყმა კი "მღვდელი". გავიხსენოთ Saint Bernard და მისი "Règle de l'Ordre du Temple", მის მიერ როგორც "Milice de Dieu", წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელნიც შესანიშნავად "მონივთა" ზ. ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში. 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამომგზავნი იყო ანსელიუს, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი "Notre Dame". 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს: ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმოა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა "გოგსა და მაგოგს" კასპიის ბჭენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო.

ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება "საკრავატრი": მეფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად იგულვებენ ჩრდილო პოლიუსის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. "მზე-მეფენი"-გადმოცემათა მიხედვით-ამ "საკრავატრის"-ის მსახიერებელნი არიან, რომელნიც ავსა და უკუღმართთან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს-გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი. ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგფრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმულებაში ამნაირადვე ისახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ "ღმერთთა დაბნელება", ეს მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვივებენ თავიანთ ქმედებით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხია: ბოროტისა და უკუღმართების მატარებელნი. საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის. და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით-დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი გადაურაზაო. და ვის შეეძლო ეს, თუ არა "მზე მეფეს", ანუ "მღვდელ მეფეს"?

ხედავ კარდუ, სად ასულა სახელი აღმაშენებლისა?

გავყვეთ ქვევით. სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტიოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი. 1119 წელს ნადიმ ედდინ ელღაზმა, ალეპოს სულტანმა, დაამარცხა ანტიოქიის მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობელოს იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა: სწორედ იმ დროს მძლავრდება ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე: საქართველო. მუსლიმთა წინაშე გეგმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წლის აგვისტოში, საქართველოს მოადგა ნადინ ედდინ ელღაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: 600.000 მხედარი-არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14-ს დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადინ ედდინ ელღაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა გაანთავისუფლა ტფილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა ანი საქართველოს შემოუერთა.

ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია ჯვაროსნებსაც.

და აი იზრდება მისი სახელი ლეგენდათ კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა-როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთს ისტორიულ ნარკვევში, აგრეთვე ა. სანდერსს წიგნში "კაუკაზიან"-მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი "Presbyter Johannes", გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა საქრისტიანოს მოსაშველებლადო.

შევჩერდეთ ამ ცნობაზედ. საშუალო საუკუნოებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა "მეფე-მღვდლისა."Das Heilige Römische Reich" გერმანელ მეფეთა მიერ ქმნილი, მსოფლმნიშვნელოვანი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად დარჩა, რადგან "მღვდელისა" და "მეფეს" შეერთება ერთ პიროვნებაში არ მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და მეფის ერთიმეორესთან შეხლად იქცა. ამ შეხლაში მღვდელი დარჩა თავისთვის და მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა საბედისწეროდ იქცა მთელი დასავლეთისათვის, ნატვრა მღვდელისა და მეფის ერთ-სახედ ქცევისა ისე ღრმად იყო საშუალო საუკუნეთა ევროპაში ფესვგამდგარი, რომ მნატვრელთ მონატრებული სინამდვილედ წარმოესახად: შორს აღმოსავლეთში არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს "მღვდელიც" არის და "მეფეც", სახელით: "პრესბიტერ იოჰანეს", ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ: მღვდელთმთავარი. და აი ინგლისურ მატიანეს ეს მღვდელთმთავარი დავით აღმაშენებელი ჰგონია.

არც ერთ ისტორიულ მფლობელს, თუ გინდ "მზემეფედ" სახულს, არ რგუნებია სახელის ასეთი ამაღლება: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა. ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი. წიაღში იმ ხალხისა, რომლის მდგენის პირველ-ხილვით მფლობელი "მწიფე ხელიანია", ესე იგი ხელკურთხეული და ხელმადლიანი, ერთხელც არის, "ხელ-მწიფე უნდა მოვლენილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე შენი გაგებით კარდუ, და როგორც ასეთი; მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს.

მისი ხელის "სიმწიფეს", მის სიმარჯვეს, საართველოს ისტორიაში შემდგომ განმტკიცებულს, განუწყვეტლივ გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც. ერთი რაინდი ჯვაროსანი სწერს ბეზანსონის მთავარ-ეპისკოპოზს: საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით, გადმოლახა მძლეობით მცირე აზია, აიღო ცხრა დიდი ქალაქი და სამასი ციხე შეანგრია; გამარჯვებულ სარდალს თან მოაქვს ნეშტი განსვენებული დედისა, რომლის სურვილი იყო იერუსალიმის განთავისუფლება; აღფრთოვანებით მოველით აქ ჩვენ მასო-აბოლოვებს რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ, ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ ხშირად ლეგენდა უფრო ნამდვილია ვიდრე ისტორიული ამბავი.

"აი დავით, დიდი მეფე ჩვენი, შენ მიერ კურთხეული კარდუ!"

"იგი მარჯვენაა ჩემი!"

"მარჯი შენს მარჯვენას, კარდუ!"

მინაწერი.
1. წინადადებას ვიძლევი: გადაუშალოს აქ მოყვანილი "მადანი" რომელიმე მკითხველმა რომელიმე მკვლევარს დიდ კულტურათა. დაინახავს: მკვლევარი განცვიფრებული დარჩება.
2. როცა ჩვენ ვაცნობთ ხოლმე საქართველოს უცხოელებს, ზემოთქმულიდან უნდა გამოვდიოდეთ-თორემ "ისე" ჩვენს სიტყვას ზრდილობით მოისმენენ. ეს როგორც "რჩევა."

სინას მთაზე მოპოვებული ქართული ლოცვანის კვერექსი:

«ქართულისა მშვიდობისა, საზღვართა გამაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყვეთა მოქცევისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ.»

მალხაზ ნუროშვილი

ფარული ქრისტიანობა საინგილოში

კაკელი დედაბერი დარეჯანის და სხვა ქედუხრელი ქართველების ხსოვნას

ბარბაროსების მიერ, რომის აღებისა და აოხრებით დაშინებულ და თავზარდაცემულ ქრისტიანებს წმინდა ავგუსტინე შემდეგნაირად ამშვიდებდა: «ცხოვრება ალქიმიკოსის ქურას ჰგავს. ცეცხლი ბრიალებს, უვარგისი მასალა, ჩალა, იწვის, ოქრო იწმინდება. მორწმუნე ადამიანი ოქროა და მას არაფერი ემუქრება“.

საინგილოს უმძიმესი და გმირული წარსულიდან: კავკასიის დასაპყრობად ერთმანეთთან მებრძოლი იმპერიების ინტერესების გადაკვეთის არეში მოხვედრილი საქართველოს და განსაკუთრებით მისი განაპირა მხარეების ბედი უმძიმესი და ტრაგიკული იყო. მთლიანად საქართველომ და ამ მხარეებმა სხვადასხვა იმპერიათა უშუალო შემოსევები, მათ მიერ დაქირავებულთა თავდასხმები თუ შინაგამცემლობა და ღალატი გადაიტანა. იყო დრო, როცა საინგილოშიც უსატიკესი ტერორი იყო დამყარებული, ქართველობის ცხადად გამჟღავნებაც კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ადამიანს, მოსახლეობა როგორც სრული ფიზიკური განადგურების, ისე სრული ფსიქოლოგიურ-მორალური დათრგვუნვის რეალობისა და საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. დამონება, ეკლესიათა ნგრევა, ძარცვა, სოფელთა აოხრება, იძულებითი გამაჰმადიანება, პირველ რიგში ყველაზე ღირსეულ ადამიანთა ჟლეტა - ასეთი იყო იმხანად საინგილოსათვის «ალქიმიკოსის ქურა». შექმნილი გადარჩევის მექანიზმი სპობდა ღირსეულს და არსებობის უფლებას უნარჩუნებდა მონას. თუმცა მავანი შეცდა, მისი ანგარიში არასწორი აღმოჩნდა. სასტიკი და დაუნდობელი ტერორის პირობებში მცხოვრებმა ქართველობამ თავისი ეროვნული მეობის და რწმენის შენარჩუნების საშუალებები გამონახა. ეს იყო ფარული, საოჯახო ეკლესიები, გარეგნულად არაქრისტიანული რიტუალები, საფლავებზე ერთი შეხდვით შეუმჩნეველი ქართული წარწერები და სხვა. დაახლოებით მსგავს პირობებში იყო მესხეთ-ჯავახეთიც, რომლის მთელი რეგიონი მოგვიანებით მტერმა ძველი ქართული მოსახლეობისაგან ფაქტიურად დასცალა. მესხეთში შემოსეულ თურქთაგან თავის დასაცავად ფარული მიწისქვეშა სამალავებიც არსებობდა და შემთხვევითი არაა, რომ იქაურ სოფელს შეიძლება არა მაგალითად „ჩინებულა“ (თვალსაჩინო), არამედ „დამალა“ ერქვას.

ფარული სალოცავებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებიც იცნობენ. მიწისქვეშა და იატაკქვეშა ქრისტიანული სამყარო იყო რომშიც, ამას მისი კატაკომბებიც მოწმობენ. რომაული იატაკქვეშა სამყარო, ქრისტიანობის მისთვის მტრულ გარემოში გავრცელების და არა მტრების შემოსევის და მათ მიერ ტერორის დამყარების ნაყოფი გახლდათ. საინგილოში ეს განსაკუთრებულად დრამატული და ტრაგიკული ისტორიის, ადამიანთა გამორჩეული გმირობის, შეუპოვრობის და უტეხობის გამოხატულებაა. საინგილო, ისტორიული ქართული სამყაროს განსაკუთრებულად ძვირფასი, რთული, მრავალი საიდუმლოთი სავსე და ლამაზი ნაწილია. ის ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, კულტურის ისტორიკოსთა და ეთნოლოგთა მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და კვლევას იმსახურებს. კარგი იქნებოდა, კახეთჰერეთის ისტორიისა და მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საერთაშორისო სემინარები იმართებოდეს, თუნდაც ისე, როგორც ამას ბაქო კავკასიის ალბანეთზე მისი თვალსაზრისის პროპაგანდის მიზნით აკეთებს. ქართველი ახალგაზრდობაც უნდა იცნობდეს თავის ქვეყნის ისტორიის ნათელ და მძიმე მხარეებსა და პერიოდებს, ეს სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა ისწავლებოდეს. მაშ ყური დავუგდოთ ბატონ მალხაზ ნუროშვილს.

გიორგი მარჯანიშვილი, 2011

მალხაზ ნუროშვილის ფოტო: ოთარაშვილების (ჟონგაანთ) ფარული სამლოცველოს კიდბანი

ლობაში დამკვიდრებული ქართული სიმღერები (არათუ მრავალხმიანი, არამედ უბრალო ერთხმიანი ღიღინიც კი). ეჭვს გარეშეა, რომ საუკუნეების განმავლობაში აქ ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა: შეუძლებელი იყო, აშკარად ქართველების ერთად თავმოყრა, ქორწილ-ნიშნობის ქართული წესით გადახდა, ცეკვა-თამაში, სიმღერა, ქართული გვარ-სახელის და ეროვნული სამოსის ტარება...). თავისთავად ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში, რაიმე განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ყველაფერი გაიყინა, გაქვავდა. თვით უბრალო ტრადიციული კახური, ქართული კერძებიდანაც კი მრავალი მივიწყებას მიეცა; ინგილოების სამზარეულო ამიერიდან ძირითადად მხოლოდ გვიანფუჭებადი კერძებისაგან შედგებოდა (ხმელი პური, ხმელი ხორცი, ნიგოზი...). ამ დროიდან ისინი ვეღარასოდეს იზეიმებდნენ, იცეკვებდნენ, იმღერებდნენ. ამიერიდან ისინი გარეგნულად სულეიმანებად, ჰაჯიებად და ზეინაბებად უნდა გადაქცეულიყვნენ. ამიერიდან, მათ უკვე მხოლოდ ფიზიკური თვიდგადარჩენის და ეროვნული თვითმყოფობადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში უნდა დაეხარჯათ მთელი თავიანთი სულიერი და ეროვნული ენერგია. ყოველ დღეს, ყოველ წუთს, ყოველი ხერხით უნდა ებრძოლათ ქრისტიანობის ანუ ქართველობის შესანარჩუნებლად და ასე, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში.

კაკ-ელისენში 1614 წლიდან „დიდი ღამე“, დიდი გლოვა დაიწყო. ამ ტრაგიკული ვითარებიდან გამომდინარე, იქაური ქართველობა იძულებული იყო ჩაკეტილ, ფარულ საზოგადოება - ორგანიზაციად გადაქცეულიყო. დაეფარა თავისი რჯული, ეროვნება, ქართული გვარ-სახელი და მუდმივად საიდუმლოს გამჟღავნების შიშის ქვეშ ეცხოვრა. ამიტომ, აქ არც ედღესასწაულებოდათ, არც ემღერებოდათ და არც ეცეკვებოდათ; ეს ფიზიკურად შეუძლებელიც იყო. დიდი ხნის განმავლობაში, კაკის მოსახლეობას, სახიზარებში ექსტრემალურ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება. შედარებით ხელსაყრელი პირობების დროს, სოფელში ბრუნდებოდნენ, მაგრამ ამ დროსაც კი გასახიზნად მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. გადმოცემის თანახმად, სოფლის გადარჩენილი მცირე ნაწილი ულუბაშის მთის ქვემოთ, „შაჰ-აბასის კორთეს“ ღელეში აფარებ-და თავს (აშკარაა, რომ ამ ღელეს სწორედ შაჰ–აბასის შემოსევების შემდეგ დაერქვა უცნაური სახელი „კორთეი“, რაც ინგილოურად ღია, რამოდენიმე სართულიან ჭურჭლის დასალაგებელ ერთგვარ თაროს ჰქვია (წიგნის თაროს ჰგავს). სხვათაშორის, თხილიანში [მინდორია კაკში (კაკისთავი)], ულუბაშის მთის ქვემოთ, სწორედ კორთეს მაგვარი ღელეებია. მაგალითად ერთი ღელე, რომელსაც „წყაროი ღელესაც“ უწოდებენ, ისეთი კიბე-კიბე ღელეა, რომ შეუძლებელია ადამინმა ამ ღელეში პირდაპირ იაროს, ის მართლაც კორთეს მოგვაგონებს. ალბათ სწორედ ამის გამო, საჭურჭლე კორთეს სახელი დაერქვა ღელეს, თუმცა შეიძლება პირიქითაც იყოს; სავსებით შესაძლებელია მრავალი წლის განმავლობაში, თავშესაფრებში მცხოვრებმა ადამიანებმა სოფელში დაბრუნების შემდეგ, ღელეთა კორთეების მსგავს ოჯახურ თაროს „შაჰ–აბასის კორთე შეარქვეს“).

ლეკების საბოლოოდ გაბატონებისა და ქართველების სრული დამონების შემდეგ კი, ფაქტიურად ყოველი ქართული ოჯახი მთლიანი ორგანიზაციის თითო-თითო უჯრედად გადაეწყო, რადგან უკვე ძალზე გაჭირდა აშკარა კონტაქტები, ოჯახების დონეზეც კი. ასეთ ვითარებაში, რომ არა ფარული სამლოცველოები, ქართველთა სრული გადაგვარება აბსოლლუტურად გარდაუვალი იქნებოდა [წარმოიდგინეთ როგორი ტერორი და ამ ტერორის შედეგად რაგვარი კარჩაკეტილობა უნდა ყოფილიყო გაბატონებული, რომ ერთი მცირერიცხოვანი სოფლის (მცირერიცხოვანი ამ ტრაგედიის შემდეგ, თორემ კაკი ისტორიულად ძალზე დიდი სოფელი ყოფილა) აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, რომელიც მაქსიმუმ 3-4 კმ-ს შეადგენდა, ორ - თოფახურ და კაკისთავურ კილო-კავზე ელაპარაკა ხალხს.].

ფოტოზე: ქრისტეს გამოსახულება რომის დომიტილას კატაკომბაში, დაახლოებით 200 წელი, ადრექრისტიანული ხელოვნება. ქრისტეს ადრეული გამოსახულებები იესოს როგორც მქადაგებელს გამოსახავენ.

/ბაბიძეება შემდეგ ნოგეიში/

განმარტება: მაქსიმალურად შევეცადე ზუსტად გადმომეცა და არ დამემახინჯა სახელწოდებები. აუცილებელია მკითხველმა გავალისწინოს, რომ კაკურ კილო-კავში, მრავლობით ფორმაში, სიტყვის დაბოლოებისას ყოველთვის ზგერა „ვ“, ალიბეგლოურში კი ჩვეულებრივი „ბ“ იხმარება. ბოლოსართის „ი“ ინგილოურში საერთოდ არ იხმარება. მაგალითად საყდრები-საყდრევ (კაკი), -საყდრებ(ალიბეგლო); კიდობნები-კიდბნევ(კაკი), -კიდბნებ (ალიბეგლო) და ა.შ. ინგილოურში არ იხმარება შემდეგი ბგერები: „d“ [იხმ. „ზ“], მაგ. ძმობა-ზმოვაი (კაკი), -ზმობაი (ალიბეგ.), „ჯ“ [იხმ. „ჟ“] მაგ. ჯვარი-ჟვარ; ჯიჯიმი-ჟიჟიმ]. ვგონებ აქ რაღაც შესავალის მაგვარი უნდა დავუმატო იმ სამწუხარო ფაქტზე, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება მათი დოქტრინა-პრიგოვორისგან ყოველგვარ განსხვავებულ აზრს სეპარატიზმად ნათლავს და განსხვავებული აზრის მატარებელ ადამიანებს ქვეყნის მოღალატეებად მიიჩნევს.

- სამლოცველო ოჯახები, წმინდა კიდობნები
- საგვარეულო საყდრები და დადაშები {ბედაშე}
- კირიზლოვაი {კვირაცხოვლობა}
- მიცვალებულთა საფლავების ეპიტაფიები, ფარული ქართული წარწერები
- გააზრებული,შეგნებული ფარული,ქრისტიანული რიტუალები
- ქალების როლი ქრისტიანობის (ქართველობის) შენარჩუნება-შენახვაში

წინათქმა

როგორც ცნობილია, შაჰ-აბასის 1614-1616 წლების ბარბაროსულმა ლაშქრობებმა კახეთში, მის განაპირა მხარეს - კაკ-ელისენს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, რის შედეგადაც, კახეთში, ყველაზე მეტად სწორედ იგი დაზიანდა. მჭიდროდ დასახლებული ეს მხარე, მთლიანად გაუკაცრიელდა. თითქმის მთელი მოსახლეობა განადგურდა. ასეთი კატასტროფული შედეგები იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ დღევანდელი საინგილო, კახეთისათვის ერთგვარი ბუფერის როლს თამაშობდა და უშუალოდ დაღესტანს ესაზღვრებოდა. მთის ის სახიზრები, რომელსაც მოსახლეობა ომის დროს თავს აფარებდა, ლეკებმა დაიკავეს. მათ გახიზნული მოსახლეობის განადგურებაში აქტიური როლი ითამაშეს [„...ფეხის ყოველ გადადგმაზე გხვდებათ აქ ქართველობის დიდებულების ნაშთი: ციხეები, საყდრები, ნიშები, სასაფლაოები, ნასოფლარები და სხვ. უღრანს ტყეში ნახავთ დიდებულს საყდარს; შედიხარ ვითომ დაბურულს ტყეში და იქ კი აქეთიქითობამდე სამაროვანი გხვდებათ“ /მ. ჯანაშვილი, „საინგილო“ თბილისი 1910 წ./]. გაუკაცრიელებული მთისძირა სოფლები თანდათან ჩამოსახლებულმა ლეკებმა, ხოლო ბარის სოფლები კი მუღალებმა დაიკავეს. ამდენად, მთისძირა სოფლებიდან მხოლოდ კაკმა შესძლო გადარჩენა (ისიც უდიდესი ზარალის ფასად. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად ამ ბრძოლებში, კაკის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა მთლიანად დაღუპულა და იმის გამო, რომ სოფელში არცერთი ზრდასრული მამაკაცი აღარ ყოფილა, კაკის მამასახლისობა თურმე ერთ დედაბერ დარეჯანს უთავნია.). იმ პერიოდში სასტიკად იდევნებოდა ქრისტიანობა, ქართული ენა და საერთოდ ქართველობის რაიმე ნიშნით გამოვლენა. ძალზე მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ საინგილოში სრულიად გაქრა ათასწლეულობის განმავ-

გაზეთი აი ია.

შპს აი ია.
პირადი ნომერი: 404890999
ილია ჭავჭავაძის გამზირი 26/13
0176 თბილისი

რედაქცია
ხატია ღუდუშაური

ზურაბ ხუციშვილი
ტელეფონი: 8 32-23 80 11
მობილური: 8 58 24 04 38
ელფოსტა: info@ai-ia.info

ტექნიკური დირექცია:
GETMANPICTURES

© აი ია.
© თარგმანთა: გიორგი მარჯანიშვილი

www.ai-ia.info

ყურადღება!

ყოველ სამშაბათს, 11-დან 18 საათამდე, «აი ია.»-ს რედაქციაში, ადვოკატები ნანა ფილაური და თეონა მანჯავიძე გაგიწევენ უფასო იურიდიულ კონსულტაციას.

დაგვიკავშირდით:
ილია ჭავჭავაძის გამზირი 26/13, 0176 თბილისი
ტელეფონი: 832 - 23 80 11